

ნაწილი II. მეთოდოლოგიური ორიენტირები

წინამდებარე ნაშრომის შედგება შესავლისაგან (რომელშიც განმარტებულია გზამკვლევის სტრუქტურა და კონცეფცია) და 5 თავისაგან:

- I. **მეთოდოლოგიური ორიენტირები** – ამ თავში საუბარია სწავლა-სწავლების იმ ძირითად პრინციპებზე, ინტერაქტიულ მეთოდებსა და ტიპურ აქტივობებზე, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს პედაგოგი „მოქალაქეობის“ მოდულის სწავლებისას. დეტალურად არის აღწერილი „მოქალაქეობის“ მოდულის დამხმარე ჩანაწერებში მითითებული მეთოდების/აქტივობების არსი, გამოყენების სპეციფიკა, მათი ძლიერი და სუსტი მხარეები. **ცნებათა პედაგოგიკის როლი ცოდნის კონსტრუირების პროცესში;**
- II. **საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია და მმართველობის სისტემები** – ამ თავში წარმოდგენილია თემატური ბლოკებიდან პირველის (ამ და ყველა დანარჩენი თავის სახელწოდება ემთხვევა თემატური ბლოკის სახელს) სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების, წარმართვისა და სტუდენტების შეფასების ნიმუშები;
- III. **კონფლიქტი და მისი მოგვარების გზები** – მეორე თემატური ბლოკია, რომელში მოცემული რეკომენდაციებისა და პრაქტიკული ნიმუშების მეშვეობითაც პედაგოგები შეძლებენ მოდულით გათვალისწინებული თემატიკისა და სასწავლო რესურსების ორგანიზებას, სასწავლო პროცესის მიზნობრივად დაგეგმვას;
- IV. **სახელმწიფო და მოქალაქე** – მესამე თემატური ბლოკია, სადაც მოცემულია ამ ბლოკის პრაქტიკულად თავიდან ბოლომდე გაწერილი სწავლების პროცესის დაგეგმვის ნიმუშები (მეორე და მესამე თავში პედაგოგებს გაკვეთილის დაგეგმვის რამდენიმე ნიმუშს ვთავაზობთ, რომლის მიხედვითაც დანარჩენი გაკვეთილები თავად უნდა დაგეგმონ. მეოთხე თავში კი თითქმის ყველა გაკვეთილის ნიმუშს ვაძლევთ);
- V. **კულტურული გავლენები და მსოფლმხედველობრივი ტრანსფორმაციები** – ამ თავში წარმოდგენილია მეოთხე თემატური ბლოკი, რომელიც წინამორბედი თემატური ბლოკების ანალოგიურად, პედაგოგებს სთავაზობს ინტეგრირებული მოდულის თემატიკის ბოლო, დამასრულებელი ნაწილის სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ნიმუშს.

როგორც ზემოთ მოყვანილი სტრუქტურიდანაც ჩანს, II-V თავებში პედაგოგებს ვთავაზობთ მოქალაქეობის მოდულში მოცემული თემატიკის (შინაარსობრივი საკითხების) საფუძველზე სწავლა-სწავლების პროცესის აგების ჩვენეულ, სარეკომენდაციო გზას. მთელი თემატიკა დაყოფილია ოთხ თემატურ ბლოკად, რომლებიც ცალ-ცალკეა განხილული და თითოეულს ცალკე თავი ეთმობა. ვფიქრობთ, გზამკვლევის ასეთი სტრუქტურა პედაგოგებს დაეხმარება სასწავლო მასალის თანმიმდევრულად და ლოგიკურად ორგანიზებაში.

გარდა ამისა ყოველ თავში მოცემულია მეთოდოლოგია, თუ როგორ უნდა მოხდეს სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის ინტეგრირება ერთი თემატურ ბლოკის მეშვეობით სასწავლო პრაქტიკაში. გზამკვლევი მოიცავს რეკომენდებულ სწავლა-სწავლების მეთოდებს, სააუდიტორიო მეცადინეობებზე თუ დამოუკიდებლად განსახორციელებელ აქტივობებს, რომელიც მოდულის მასწავლებლებს გარკვეულ დახმარებას გაუწევს მის ეფექტიანად გამოყენებაში. აღნიშნული კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროფესიული მოდულური პროგრამის მსმენელის კოგნიტური, სოციალური და, რაც მთავარია, პრაქტიკული უნარების განვითარებას.

ამავე თავებში მოცემულია მოდულით განსაზღვრულ და ასევე დამატებით სარეკომენდაციო ლიტერატურაში (სასწავლო რესურსებში) ორიენტირების მექანიზმებიც. პედაგოგებს ვთავაზობთ კონკრეტული აქტივობისათვის საჭირო სასწავლო რესურსებს ორი სახით:

- სასწავლო რესურსების უდიდეს ნაწილზე დეტალური მითითება გავაკეთეთ (დავურთეთ ინტერნეტ-რესურსების ლინკები, მივუთითეთ სახელმძღვანელოსა თუ სხვა ნაბეჭდი სასწავლო რესურსის კონკრეტული გვერდები);
- სასწავლო რესურსების გარკვეული ნაწილი უშუალოდ წინამდებარე გზამკვლევში განვათავსეთ.

ამრიგად, გზამკვლევში მოცემულია მოდულური სწავლების პროცესში მოდულის პრაქტიკაში გამოყენების რეკომენდაციები. იგი დაეხმარება „მოქალაქეობის“ მასწავლებელს, რომ მან შეძლოს:

- ინტეგრირებული მოდულის „მოქალაქეობა“ სტრუქტურაში ორიენტირება;
- სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის ინტეგრირების პრინციპის გააზრება;
- სწავლების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება.

გზამკვლევაში დეტალურად არის ასახული მოდულის ყველა თემასთან დაკავშირებული შედეგებისა და შესრულების კრიტერიუმისა დამუშავების მექანიზმები, ასევე სტუდენტის შეფასების კომპონენტი (რეკომენდაციები შემაჯამებელი აქტივობების ჩატარების თაობაზე, მტკიცებულების შეგროვების ხერხები და საშუალებები).

გზამკვლევის კონცეფცია

გზამკვლევი ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდოლოგიას, რაც გულისხმობს სტუდენტის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესსა და შეფასებაში.

მოდულში „მოქალაქეობა“ წარმოდგენილი სასწავლო შედეგების სახით გადმოცემული უნარ-ჩვევები, რომელიც გარკვეული სპეციფიკურობის მატარებელია თავისი ინტეგრირებული ბუნებიდან გამომდინარე, ბუნებრივია გარკვეული შინაარსობრივი მასალის საფუძველზე მუშავდება, რომლიც მოიცავს როგორც ისტორიის, ისე სამოქალაქო განათლების შინაარსობრივ საკითხებს. იმისთვის, რომ ეს ინტეგრირება სრულფასოვნად განხორციელდეს გზამკვლევი მოდულისათვის „მოქალაქეობა“ გვთავაზობს გამოსაყენებელი შინაარსის თემატური ბლოკების სახით ორგანიზებას.

თითოეული თემატურ ბლოკში მუშავდება ყველა სასწავლო შედეგ (ანუ უნარი) ცალკეული შესრულების კრიტერიუმების მეშვეობით, ანუ ეს კონკრეტული მასალა ამა თუ იმ ფორმით და სხვადასხვა რაკურსით მუშაობს სტუდენტის უნარების განვითარებაზე.

თემატურ ბლოკში დაჯგუფებული მასალის მიწოდების პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: სტუდენტი პროვოცირდება მისთვის ნაცნობი, თანამედროვეობაში მიმდინარე მოვლენებით, რასთანაც მას პირდაპირი ან ირიბი შეხება გააჩნია. შესაბამისად, საჭირო უნარზე მუშაობისთვის ხდება მოსწავლის ცხოვრებისეული, წინარე ცოდნის გამოყენება: როგორც წესი, პირველ ეტაპზე აქცენტირებულია სამოქალაქო განათლების თემატიკა, ხოლო შემდეგ შემოდის ისტორიული მასალა, რომელიც ამდიდრებს უკვე ნაცნობ საკითხებს, ცხადს ხდის თანამედროვე მოვლენების კავშირს ისტორიულ წარსულთან. მასალის ამგვარი დაჯგუფება გასაგებს ხდის როგორც მოდულის კონცეფციას, ისე სწავლების მეთოდოლოგიას (კონსტრუქტივიზმი). ფრანგი მეცნიერი ფერნან ბროდელი მოსწარებულად შენიშნავდა:

„იცხოვრებ [ფრანგი კაცი] ერთი წლის მანძილზე ლონდონში და ცოტა რამეს თუ ისწავლი ინგლისის შესახებ, სამაგიეროდ ბევრს გაიგებ საფრანგეთზე და ეს იმიტომ, რომ თქვენ დისტანცირებული ხართ [საფრანგეთისგან]. წარსული და აწმყო ერთმანეთს შუქს ჰფენს. ასე რომ, ისტორია იმდენადვე ეხება აწმყოს, რამდენადაც წარსულს“. შესაბამისად, გზამკვლევის აგების პარადიგმა სწორედ იმას ეფუძნება, რომ ისტორიული ცოდნა თანამედროვეობაში მოსწავლის ქმედითად ჩართვის წინაპირობად გამოდგეს, ანუ ის შედგეს სრულფასოვან, ინფორმირებულ, აქტიურ მოქალაქედ, მიუხედავად თავისი სახელობო პროფესიისა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მოდულის „მოქალაქეობა“ სარეკომენდაციო თემატიკის (იხ. მოდულის პუნქტი 3.1.) და საათების განაწილების პირობითობამ, განაპირობა მოდულის სტრუქტურული ჩარჩო ოდნავ შეცვლილია. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის გაცნობიერებას, რომ ჯერ ერთ შედეგზე კი არ უნდა იმუშავოს პედაგოგმა, მერე მეორეზე და ა. შ., არამედ ერთი თემატური ბლოკის ფარგლებში სწავლის ოთხივე შედეგის დამუშავებას უნდა უწყობდეს ხელს. სწორედ ამ პრინციპმა გახადა აუცილებელი მოდულის დამხმარე ჩანაწერში მითითებული სარეკომენდაციო თემატიკის გადაჯგუფება სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისათვის ხელსაყრელ ბლოკებში.

თითოეული თემატური თავი, რომელიც მოიცავს საგაკვეთილო გეგმების ტიპურ ნიმუშებს შერჩეული აქტივობებით, ასევე შეიცავს შესაბამის საკითხთან დამიზნებულ შეფასების მექანიზმს.

პირველ რიგში, გვინდა პედაგოგებმა სწავლა-სწავლების პროცესში ყურადღება გაამახვილონ ცნებათა პედაგოგიკის მნიშვნელობაზე. კერძოდ, გიაზრონ კონცეპტუალური (სამიზნე ცნებები, ოხ. მოდულის სტანდარტული ჩანაწერი) ცნებები როგორ იერარქიზდება, როგორ ხდება მათი “დაშლა” და “გამთლიანება” სასწავლო პროცესში, გამოდინარეობს მსვილი სამიზნე ცნებიდან დარგობრივ-საგნობრივი ან თემატური სპეფიციკური ცნებები და როგორ ხდება ამ ე.წ. „მუშა“ ცნებების ადექვატური გააზრებისა და ცოდნის პირობების მსვილი კონცეპტუალური ცნების კომპლექსური გააზრება. ამის საილუსტრაციოდ გთავაზობთ სქემას, სადაც „მოქალაქეობის” (სამოქალაქო განათლება+ისტორია) სამიზნე ცნებების იერარქიზირება არის თვალსაჩინოდ ნაჩვენები და პერაგოგისტვის გასაგები იქნება, ამა თუ იმ საგნობრივ „მუშა“ ცნებით (რომელიც ცალკე მე-4 კატეგორიზაციის ცნებად განვიხილოთ და ხშირ შემთხვევაში, შეიძლებაა შინაარსობრივი ტოპიკიც იყოს) , როგორ ამუშავენ სამიზნე ცნების გათავისებას, რომელიმე კონტექსტის (შინაარსობრივი თემატური ერთეულების, გაკვეთილების) ფარგლებში.

სამიზნე ცნება (I კატეგორია)	ქვეცნება (II კატეგორია)	ქვეცნება (III კატეგორია)
სოციალიზაცია	მე, პიროვნება	იდენტობა
		მოქალაქე
	საზოგადოება, საზოგადოებრივი ჯგუფები	საზოგადოებრივი
		ინსტიტუტები სახელმწიფო ინსტიტუციები
დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები	ადამიანის უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები	პირადი უფლებები
		პოლიტიკური უფლებები
		ეკონომიკური უფლებები
		კულტურული უფლებები
	სამართლებრივი დოკუმენტები	საქართველოს კანონმდებლობა

		საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები
	დემოკრატიული ღირებულებები	თანასწორობა
		არაძალადობრიობა
		თავისუფლება
		ტოლერანტობა
		გამჭვირვალობა
		სეკულარიზმი
	ხელისუფლების დანაწილების პრინციპი	ადმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლება, „მეოთხე ხელისუფლება“
სამოქალაქო მონაწილეობა	მოხალისეობა	სათემო აქტივობა
		მედიაცია
	ადვოკატირება, ლობირება	
	არჩევნები	ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები
		საპარლამენტო არჩევნები

		საპრეზიდენტო არჩევნები
კონფლიქტი	კონფლიქტის ტიპები	ომი, ბულინგი, სამოქალაქო ომი, ფიზიკური შეურაცხყოფა ყოფითი შემთხვევა
დრო	ქრონოლოგია, წელთაღრიცხვის სისტემები	ათასწლეული, საუკუნე, წელი, ერა
	ისტორიული პერიოდი, ეპოქა	ანტიკური ეპოქა, შუა საუკუნეები, ახალი დრო, უახლესი
სივრცე	კონტინენტი	ევროპა, აზია, აფრიკა, ამერიკა...
	რეგიონი	ხლემთაშუაზღვისპირეთი, კავკასია, შუა აზრია, ახლო აღმოსავლეთი....
	საქართველოს ისტორიულ- გეოგრაფიული მხარე	კახეთი, ჰერეთი, ქართლი, ტაო-კლარჯეთი...
საზოგადოება	ეთნიკურობა, იდენტობის მარკერები	გვაროვნული თემი/ ტომობრივი გაერთიანებები; მიწადმოქმედი ხალხები; მომთაბარე ხალხები; წოდებრივი საზოგადო- ება/სამწევროვანი საზოგადოება;

		<i>ეროვნულობა/ნაციონალიზმი;</i> სამოქალაქო საზოგადოება
	კულტურა, რელიგია და მსოფლმხედველობა	მაგია, "არქეოლოგიური კულტურა"; ელინური კულტურა/ელინიზმი; ხმელთაშუაზღვისპირეთის ცივილიზაცია; დამწერლობა; ქრისტიანობა/ისლამი; რენესანსი, რეფორმაცია, განმანათლებლობა; ნაციონალიზმი/ ლიბერალიზმი, მულტიკულტურალიზმი, გლობალიზაცია.
	მრავალფეროვნება; „კულტურული სხვა“	ელინი/ბარბაროსი; რომი/ბარბარიკუმი; პოლითეიზმი/მონოთეიზმი; „ბიზანტიური თანამეგობრობა“ ლათინურენოვანი დასავლეთი; ერესი; ანტისემიტიზმი; ფაშიზმი; სეგრეგაცია ტერორიზმი/ფუნდამენტალიზმი

		ეთნოკონფლიქტი; ფემინიზმი.....
	სოციალური ფენა	აველუმი/თავისუფალი ადამიანი; მონა; პატრიციები და პლებეები; სეფეწულები და მეთემეები; ფეოდალი/გლეხი; კაპიტალისტი/მუშა
	ეკონომიკა/მეურნეობა	„ნეოლითური რევოლუცია“ მიწადმოქმედი ხალხები; მომთაბარე ხალხები; მონათმფლობელობა; ფეოდალიზმი; კაპიტალიზმი; სოციალიზმი.
ისტორიული მოვლენა/პროცესი	პოლიტიკური ისტორია; სოციალური ისტორია....	„ნეოლითური რევოლუცია“; ელინიზმი; ხმელთაშუაზღვიპირეთის ცივილიზაცია; დიდი მიგრაციები;

		„ბიზანტიური თანამეგობრობა“; „წმინდა მიწა“; „აბრეშუმის გზა“; ანტიოსმალური კოალიცია; „ინდუსტრიული რევოლუცია“ რევოლუციები; ტოტალიტარიზმი; მსოფლიო ომი; გლობალიზაცია/ევროინტეგრაცია
ძალაუფლება	სახელმწიფო, მმართველობის ფორმები	ბელადი/მეფე,
		პოლისი (დემოკრატია/ოლიგარქია / მონარქია) ;
		სენატი/ სახალხო კრება
		ფეოდალიზმი/პატრონ-ყმობა
		დინასტიური მონარქია/წოდებრივი მონარქია
		აბსოლიტური მონარქია

		კონსტიტუციური მონარქია
		რესპუბლიკა
წყარო, ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა	წყარო (პირველადი, მეორადი)	არქეოლოგიური გათხრები/ეთნოლოგიური მონაცემები წერილობითი წყაროები; ეპიგრაფიკული მონაცემები; ნუმიზმატიკური მონაცემები, ციფრული მასალა.
	ისტორიის დამხმარე დისციპლინები	არქეოლოგია/ეთნოგრაფია; ნუმიზმატიკა/ზონისტიკა; ჰერალდიკა/გენეალოგია.....; ზეპირი ისტორია.

სწავლების ინტერაქტიული მეთოდები თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის განუყოფელი ნაწილია. განათლების მკვლევრები დიდი ხანია აღარ დავობენ იმის შესახებ, რომ ტრადიციული, ე.წ. „დაფისა და ცარცის“ გაკვეთილი, სადაც პედაგოგი მენტორის როლში გვევლინება, ნაკლებ ეფექტურია. სტუდენტს მხოლოდ ძალიან მცირე

დროის (დაახლოებით 8–10 წუთის) განმავლობაში შეუძლია პედაგოგის მონოლოგზე კონცენტრირება, რაც გაკვეთილის უმეტეს ნაწილს, ფაქტობრივად, ფიქციად აქცევს. სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება, რომლებიც გაკვეთილის ყველა ფაზაში მოსწავლის აქტიურად ჩართვას გულისხმობს, ამ პრობლემის დაძლევის საშუალებას იძლევა. ინტერაქტიულ გაკვეთილზე მასწავლებელი აღარ გვევლინება მენტორის მდგომარეობაში; ამ შემთხვევაში იგი ფასილიტატორის როლს ირგებს. თანამედროვე ეტაპზე ინტერაქტიული სწავლება განათლების სისტემაში სავალდებულოდ ითვლება, თუმცა, საზოგადოებრივი მეცნიერებების შემთხვევაში (მოდული „მოქალაქეობა“ სწორედამ საზოგადოებრივ მეცნიერებს – ისტორიასა და სამოქალაქო განათლებას – მოიცავს) მისი როლი განსაკუთრებით დიდია.

რამდენადაც მოდული „მოქალაქეობა“ შექმნილია პროფესიულ განათლებაში ზოგადი განათლების კომპონენტის (ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების – ისტორიისა და სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამების) ინტეგრირების მიზნით, ბუნებრივია, მისი სწავლების პროცესში უნდა გათვალისწინებული იქნას 2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის (როგორც ზოგადი განათლების საფუძვლის) არა მხოლოდ საგნობრივი, არამედ ზოგადმეთოდოლოგიური ასპექტები. ინტერაქტიული მეთოდები და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება ეროვნული სასწავლო გეგმის უმთავრეს მეთოდოლოგიურ პრიორიტეტს წარმოადგენს:

„ყველა მოსწავლე არის უნიკალური და განსხვავებული თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, ნიჭით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნას სწავლა-სწავლების დროს.

სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე.

სწავლა არის ცოდნის აგების პროცესი, რომელშიც მოსწავლე აქტიურად არის ჩართული და რომელიც ეფუძნება მოსწავლის არსებულ ცოდნას, გამოცდილებას და შეხედულებებს“.

მყარი და დინამიკური ცოდნის მისაცემად საჭიროა სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება.

მოსწავლის მოტივაციის გაზრდა მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა. სწავლების პროცესში გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის მოტივაცია იზრდება, თუ ის ხედავს, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი წინსვლის ხელშეწყობაა და, პირიქით, იკლებს, თუ მიაჩნია, რომ მასწავლებლის პრიორიტეტი მისი შედეგის განსჯა-შეფასებაა. ასევე, მოსწავლის მოტივაცია იზრდება, თუ ის ხედავს დავალების მიზანს, დარწმუნებულია მის საჭიროებაში. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა სტუდენტს გააგებინოს, რა მიზანს ემსახურება კონკრეტული დავალება. აუცილებელია, მოსწავლემ დაინახოს კავშირი სასწავლებელში მიმდინარე საქმიანობასა და მის გარეთ მიმდინარე ცხოვრებას შორის“.

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ პროგრამაში რამდენიმე ინტერაქტიულ მეთოდს, რომლებიც ისტორიის, ისევე სამოქალაქო განათლების სპეციფიკას შეესატყვისება, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ ქვემოთ მოცემულია ამ მეთოდების აღწერა და მათი გამოყენების სპეციფიკა.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად მკაფიო ზღვარს არ ავლენენ მეთოდსა და კონკრეტულ აქტივობას შორის, რომელიც ამ მეთოდის საფუძველზე უნდა წარიმართოს. მაგალითად, ე.წ. „იმიტირებული სასამართლო“, რომელიც ქართულ რეალობაში როლური თამაშის მეთოდის საფუძველზე შექმნილ აქტივობად ითვლება, ზოგჯერ სწავლების ერთ-ერთ მეთოდად განიხილება. მიუხედავად ამისა, არსებობს სწავლების ის ძირითადი მეთოდები, რომლებიც ერთნაირი წარმატებითა და სიხშირით გამოიყენება როგორც უცხოურ, ასევე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. სწავლების ყველაზე გავრცელებული და ადაპტირებული მეთოდებია: დისკუსია-განხილვა, გონებრივი იერიში – იდეების მობილიზება-თავმოყრა (გენერირება); პრეზენტაცია-წარდგენა, როლური თამაში – დრამა, კეთებით სწავლება, ტექსტზე ან სხვადასხვა სახის ილუსტრაციებზე მუშაობა, პროექტი (მინი-კვლევა), შემთხვევის განხილვა და ა.შ. ინტერაქტიული მეთოდების პარალელურად ხშირად გამოიყენება მინი-ლექციის მეთოდი, რომელიც ცოდნის მოკლე დროში გადაცემას უწყობს ხელს.

მოდულში „მოქალაქეობა“ წარმოდგენილია სწავლა-სწავლების 4 ტიპური მეთოდი. ესენია მინი-ლექცია, პრაქტიკული სავარჯიშო, დისკუსია და ვიქტორინა.

❖ მინი-ლექცია

მინი-ლექცია არის მცირე ზომის ლექცია (მაქსიმუმ 10-15 წუთი), უფრო ზუსტად, მასწავლებლის მიერ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის ზეპირად მიწოდება. მისი მიზანია დროის რაც შეიძლება მცირე მონაკვეთში სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება.

მინი-ლექცია, რა თქმა უნდა, ახალი ინფორმაციის წყაროა, თუმცა ნაკლებად იძლევა უნარების განვითარების შესაძლებლობას. სტუდენტ პასიურ როლში გვევლინება.

ლექციის მიმდინარეობისას სტუდენტთა აქტიურობის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია, როგორ სხედან ისინი. სასურველია არა ფრონტალური (როდესაც მასწავლებელი დგას დაფასთან მსმენელის წინ), არამედ სადისკუსიო სტილის (მასწავლებელი და სტუდენტები სხედან წრეზე, მაგიდის ირგვლივ, ისე, რომ ყველა კარგად ხედავს ერთმანეთს) გამოყენება. ლექცია სწავლების შედარებით პასიურ ფორმადაა მიჩნეული, თუმცა სტუდენტთა გასააქტიურებლად მასწავლებელმა უნდა წახალისოს ისინი. მასწავლებელს მუდმივად უნდა ჰქონდეს მხედველობითი კონტაქტი აუდიტორიასთან, პერიოდულად ამოწმებდეს, რამდენად უსმენს და ეხმაურება მას აუდიტორია (უკუკავშირი).

მინი-ლექციის ჩატარებას არ სჭირდება განსაკუთრებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, თუმცა სასურველია გამოვიყენოთ სასწავლო თვალსაჩინოებები – სადემონსტრაციო რუკები, ტაბულები, გრაფიკები, ფოტომასალა, ცხრილები და ა.შ. ლექცია ასევე შეიძლება ჩატარდეს საპრეზენტაციო პროგრამების Power Point-ის ან Prezi-ს გამოყენებითაც, რასაც სპეციალური აღჭურვილობა – ლეპტოპი და პროექტორი – დასჭირდება.

მინი-ლექციის დადებითი მხარეები:

- საჭირო ინფორმაციის მიწოდების სწრაფი და ეფექტური მეთოდია;

- სასწავლო გარემო არ საჭიროებს განსაკუთრებულ, სპეციალურ აღჭურვილობას;
- იძლევა თავისუფლად ურთიერთობის შესაძლებლობას.

რისკ-ფაქტორი:

- რთულია აუდიტორიის ყურადღების შენარჩუნება.

❖ პრაქტიკული სავარჯიშო

მოდულის „მოქალაქეობა“ დამხმარე ჩანაწერებში, რომელშიც სწავლა-სწავლების ორგანიზებისათვის რეკომენდაციები აქვს დართული, სწავლების მეთოდად შემოთავაზებული პრაქტიკული სავარჯიშო სხვადასხვა მეთოდებისა და აქტივობების სიმრავლეს გულისხმობს, რომლებიც კონკრეტულ შედეგთან და თემატურ ბლოკთან მიმართებით ოდნავ იცვლება. ყველზე მეტად აპრობირებული პრაქტიკული სავარჯიშოს ქვეკატეგორიებს აქ სათითაოდ მიმოვიხილავთ:

ა) გონებრივი იერიში – იდეების მობილიზება-თავმოყრა

გონებრივი იერიში არის დროის მცირე მონაკვეთში დიდი რაოდენობის იდეების თავმოყრა, რომელიც შეიძლება ჩატარდეს ან დამოუკიდებლად, ან როგორც დამხმარე საშუალება სხვა აქტივობის შესრულებისას. გონებრივი იერიშის შედეგად ხდება ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებით სტუდენტთა სუბიექტური აზრების გაგება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს კონსტრუქტივისტული პედაგოგიკისათვის – მასწავლებელი სწორედ ამ აზრების გათვალისწინებით წარმართავს შემდგომ სასწავლო აქტივობებს.

გონებრივი იერიშის პროცესი საკმაოდ მარტივია. თავდაპირველად მასწავლებელი ასახელებს განსახილველ თემას და ადგენს გეგმას; გონებრივი იერიშის დაწყებამდე აუცილებელია ჯგუფში მუშაობის წესებზე შეთანხმება, მაგალითად: ყველა იდეა სწორია და თითოეული მათგანი უნდა განვიხილოთ; გონებრივი იერიშის პროცესში არაფერს განვსჯით და ვაფასებთ; მთავარია იდეების რაოდენობა და არა ხარისხი.

სტუდენტები დასმული საკითხის ირგვლივ გამოთქვამენ უამრავ მოსაზრებას/იდეას, რომელთაც მასწავლებელი დაფაზე ინიშნავს. დროის ლიმიტი წინასწარაა განსაზღვრული, მაგალითად, 20-25 წთ.

იდეების ჩამოწერის შემდეგ მასწავლებელი მათ ხმამაღლა, ჯგუფის ყველა წევრისთვის გასაგონად კითხულობს. შემდეგ სტუდენტები აფასებენ იდეებს, დავუშვათ, 3- ან 5-ქულიან სკალაზე და ერთმანეთის მსგავს იდეებს აჯგუფებენ. საბოლოოდ შეირჩევა სასურველი, ყველაზე მაღალქულიანი, დაახლოებით 3-4 იდეა.

როგორც აღვნიშნეთ, გონებრივი იერიშის პროცესს მასწავლებელი წარმართავს. მას უნდა შეეძლოს ყურადღებით მოსმენა და მონაწილეების წახალისება იდეების მიწოდების პროცესში. მან ხელი უნდა შეუწყოს მაქსიმალურად ბევრი იდეისა და მოსაზრების თავმოყრას. მასწავლებელი პროცესში ნეიტრალური ფიგურაა.

დადებითი მხარეები:

- მეთოდი შემოქმედებითია და სტუდენტები თავისუფლად (შეუზღუდავად) გამოთქვამენ საკუთარ იდეებს;
- ხშირ შემთხვევაში შესაძლებელია სხვა მეთოდებთან კომბინირებულად გამოყენება.

რისკ-ფაქტორები:

- რთულია ყველა სტუდენტის ჩართულობის ხარისხის უზრუნველყოფა;
- დროის ფაქტორი.

რეკომენდაციები:

- წინასწარ შეარჩიეთ განსახილველი თემა;
- გაითვალისწინეთ მონაწილეთა ასაკობრივი თავისებურებები;
- ყველა სტუდენტს მიეცით პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა;
- იყავით მაქსიმალურად ნეიტრალური და ამავედროულად პოზიტიური ჯგუფის წევრების მიმართ.

ბ) როლური თამაში

როლური თამაში – ჯგუფური მუშაობის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ხშირად სწავლების ყველა საფეხურზე გამოიყენება. მისი მიზანია კონკრეტული ისტორიული სიტუაციისა თუ ამბის დრამით წარმოდგენა და საკუთარ თავზე განცდა. ამ დროს სტუდენტები, იმის გარდა, რომ თეორიულ ცოდნას იძენენ, განიცდიან/იაზრებენ კონკრეტული პერსონაჟის გრძნობებს, ფიქრებს, ქცევასა და მოტივებს, შეიგრძნობენ იმ ეპოქის სულისკვეთებას, რომელსაც გაითამაშებენ.

როლური თამაში სწავლების აქტიური ფორმაა. ამ დროს შესაძლებელია სტუდენტები არა მხოლოდ გონებრივად, არამედ ფიზიკურადაც აქტიურნი იყვნენ; თემის განხილვის გარდა, მათ საშუალება აქვთ გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულებები, ემოციები, რაც აადვილებს სწავლის პროცესს და, შესაბამისად, მასალის ათვისებას. სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებით სტუდენტები უფრო მარტივად სწავლობენ, ვიდრე მხოლოდ მასალის წაკითხვით, მოსმენით ან რაიმეზე დაკვირვებით.

როლური თამაშის დაწყებამდე მასწავლებელმა სტუდენტებს უნდა გააცნოს თემა და გააკეთოს მოკლე შესავალი – მაგალითად, ეს თამაში/მცირე ისტორიული პიესა გააცოცხლებს ამა თუ იმ ეპოქას, ისტორიულ პიროვნებას და გაგრძელდება 20 წუთი, რის შემდეგაც მოვაწყობთ განხილვას და შევაჯამებთ შედეგებს.

შემდეგ კლასი უნდა დაიყოს ჯგუფებად. ამისთვის შეგვიძლია გამოვიყენოთ ოთხი მეთოდი:

1. ჯგუფის დაყოფა ანბანის/სიის მიხედვით (ასეთ შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა გააკონტროლოს ჯგუფის შემადგენლობა);
2. დაყოფა საკუთარი სურვილისამებრ – მონაწილეები ჯგუფებად საკუთარი სურვილის მიხედვით იყოფიან;
3. დაყოფა შემთხვევითი შერჩევის ხერხით – ჯგუფების რაოდენობიდან გამომდინარე, ვთხოვთ მონაწილეებს, გაითვალონ. გათვლის შემდეგ პირველი ნომრები წარმოქმნიან პირველ ჯგუფს, მეორე ნომრები – მეორეს და ა.შ.;
4. დაჭრილი ბარათების მეშვეობით განაწილებისას მასწავლებელმა უნდა აიღოს იმდენი ფერის პატარა ბარათი, რამდენი ჯგუფის შექმნაც უნდა. შემდეგ თითოეული ფერის ბარათი დაჭრას იმდენ ნაწილად, რამდენი ადამიანიც უნდა იყოს ჯგუფში; დაჭრილი ბარათები პატარა კალათაში იყრება. მონაწილეები კალათიდან იღებენ დაჭრილი ბარათის თითო ფურცელს. ერთ ჯგუფში ხვდებიან ერთი ფერის

მფლობელები. ფერადი ბარათების ნაცვლად შეიძლება საფოსტო ბარათების გამოყენებაც. ასევე შესაძლებელია მონაწილეები დავყოთ დაბადების თვის, რიცხვის, წელიწადის დროის მიხედვით და ა.შ.

შემდეგ მასწავლებელი მონაწილეებს აცნობს ინსტრუქციას. თავად ჯგუფური მუშაობის პროცესში არის ნეიტრალური და ასრულებს დამკვირვებლის როლს.

შემდეგი ეტაპი არის უშუალოდ თამაში. სტუდენტები ასრულებენ როლებს ინსტრუქციის შესაბამისად. როლური თამაშის შედეგი პირდაპირ უკავშირდება ჯგუფის წევრების პროცესში ჩართვასა და დადებითი ატმოსფეროს შენარჩუნებას, ამიტომ უნდა წახალისდნენ ჯგუფის პასიური წევრები, რომ მაქსიმალურად ჩაერთონ თამაშის პროცესში.

როლური თამაშის დასრულების შემდეგ მონაწილეები გამოთქვამენ მოსაზრებებს, რა შეიძინეს/ისწავლეს ამ თამაშიდან. მონაწილეები ჯგუფის მუშაობის შედეგებს იმის მიხედვით აფასებენ, თუ რა ისწავლეს, რა იყო პოზიტიური და რა – ნეგატიური მუშაობის პროცესში; შემდეგ უნდა განიხილონ მხოლოდ შინაარსი და პროცესი და არა პროცესის მონაწილეები, პიროვნებები, მათი თვისებები და ა.შ.

როლური თამაშის დადებითი მხარეები:

- როლური თამაში ხელს უწყობს მონაწილეებს შორის ინფორმაციის გაცვლას, სტუდენტთა ჩართვას სწავლის პროცესში;
- როლური თამაში ხელს უწყობს საკითხის ღრმა შესწავლას სხვადასხვა პერსპექტივიდან, სხვადასხვა პერსონაჟის თვალთახედვით;
- როლური თამაშის დროს ვითარდება უნარ-ჩვევები, იცვლება დამოკიდებულებები;
- როლური თამაში რეალური სიტუაციის სიმულაციაა; მონაწილეებს საშუალება აქვთ სხვების თანდასწრებით გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება;
- როლური თამაშები ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას, სახალისოა და ზრდის მოტივაციას;

- როლური თამაშები ხელს უწყობს მასალის საფუძვლიანად დამახსოვრებას, რადგან ამ დროს არა მხოლოდ ინფორმაციის გადამუშავება ხდება, არამედ მონაწილეები ემოციურად განიცდიან თავად პროცესს;
- როლური თამაშების მონაწილეებს შეცდომის გამო მკაცრად არ აკრიტიკებენ.

რისკ-ფაქტორები:

- ჯგუფის ყველა წევრი შეიძლება ვერ გრძნობდეს ჯგუფში თავს კომფორტულად; ადამიანებს ზოგჯერ უჭირთ დავალების სიმულაცია, სხვების თანდასწრებით ემოციებისა და დამოკიდებულებების თავისუფლად გამოხატვა;
- როლურ თამაშში შეიძლება სტუდენტთა მხოლოდ ნაწილი ჩაერთოს;
- როლურ თამაშებს სჭირდება დრო, განსაკუთრებით დიდ დროს მოითხოვს შეჯამების ეტაპი, რადგან ყველა მონაწილემ უნდა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება; ჯგუფური მუშაობის შემდეგ ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს კმაყოფილების განცდა;
- ვინაიდან როლური თამაშის დროს განსხვავებული აზრები წარმოიშობა, შეიძლება ჯგუფის წევრებმა ერთმანეთს ვერ გაუგონ და მათ შორის ნეგატიური ატმოსფერო ჩამოყალიბდეს;
- როლური თამაშები არ გამოდგება დიდი ჯგუფებისთვის სწავლების მეთოდად.

გ) T- დიაგრამა

სწავლა-სწავლების პროცესში ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად გამოყენებადი გამოსახვის საშუალებაა. დაფაზე ან ფლიფჩარტის ქაღალდზე იხაზება ლათინური T-ს მსგავსი გამოსახულება, მაგალითად ასეთი:

დადებითი	უარყოფითი
✓ -----	✓ -----
✓ -----	✓ -----

✓ -----	✓ -----
✓ -----	✓ -----
✓ -----	✓ -----

მასწავლებელმა იგი მრავალმხრივ შეიძლება გამოიყენოს; ძალიან მოსახერხებელი და კომფორტულია საპირისპირო მოსაზრებათა გამოსათქმელად, მოვლენებისა და ფაქტების შესაპირისპირებლად, შესადარებლად. სავარჯიშო მასწავლებელს ეხმარება ინფორმაციის დახარისხებაში, ვთქვათ, დადებითი და უარყოფითი ან რომელიმე სხვა ნიშნით დასაჯგუფებლად. სავარჯიშო სრულდება ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფებში.

დ) პრეზენტაცია (წარდგენა)

პრეზენტაცია აუდიტორიის წინაშე გარკვეული თეორიული თუ პრაქტიკული მასალის წარდგენაა.

პრეზენტაცია ეფექტური მეთოდია ისეთი უნარების განსავითარებლად, როგორიცაა: კომუნიკაცია, საკუთარი პოზიციისა თუ მოსაზრებების მსმენელისათვის გაცნობა, არგუმენტირება, პოზიციის დაცვა და ა.შ. პრეზენტაციის თემა შეიძლება იყოს ნებისმიერი საკითხი. სასურველია პრეზენტაციის თემების რაოდენობა შეზღუდული იყოს. რეკომენდებულია მაქსიმუმ სამი თემის გამოყენება.

პრეზენტაციის მომზადებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს პრეზენტაციის თავისებურება. თუ სტუდენტები აკეთებენ პრეზენტაციას, მასწავლებელმა წინასწარ უნდა მისცეს მათ პრეზენტაციის ტიპური სქემა. პრეზენტაცია შედგება სამი ნაწილისაგან:

1. **შესავალი:** შესავალი პრეზენტაციის აუცილებელი ნაწილია. ამ ნაწილის მიზანი აუდიტორიის ყურადღების მიქცევა და პირველი კონტაქტის დამყარებაა. შესავალი პრეზენტაციისათვის განკუთვნილი საერთო დროის დაახლოებით 20 პროცენტს შეადგენს;

2. ძირითადი ნაწილი: ძირითადი ნაწილი პრეზენტაციის ყველაზე ვრცელი და საპასუხისმგებლო ნაწილია. ძირითად ნაწილში განიხილება დებულებები, მოსაზრებები და გამოიყენება საილუსტრაციო მასალები. პრეზენტაციის გაკეთებისას ყურადღება ექცევა საუბრის ტონს, ქცევის მანერას, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აუდიტორიაზე. ეს ნაწილი პრეზენტაციისათვის განკუთვნილი საერთო დროის დაახლოებით 70 პროცენტს შეადგენს;

3. დასკვნა: დასკვნით ნაწილში ჯამდება პრეზენტაცია – რისთვის გაკეთდა, რა იყო მიზანი და შედეგი. ეს ნაწილი პრეზენტაციის დროის დაახლოებით 10 პროცენტს შეადგენს.

შესაძლებელია, მასწავლებელმა სტუდენტებთან ერთად შეიმუშაოს შეფასების რუბრიკა, სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც მოხდება პრეზენტაციის შეფასება.

პრეზენტაციის გაკეთება სპეციალურ ტექნიკურ აღჭურვილობას საჭიროებს – პროექტორს, ლეპტოპს, დაფას. სასურველია, პრეზენტაცია სპეციალური კომპიუტერული პროგრამების PowerPoint-ის ან Prezi-ის მეშვეობით გაკეთდეს.

ე) კეთებით სწავლება

კეთებით სწავლების ანუ პრაქტიკის მეთოდის გამოყენების დროს სტუდენტებს აწვდიან არა ინფორმაციას, არამედ ზუსტ ინსტრუქციას სიმულაციისათვის. ამ მეთოდის მიზანია სტუდენტებმა ზუსტად შეასრულონ ისეთი ქმედებები, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის მიღებას ან ჩვევის ჩამოყალიბებას.

პრაქტიკის დროს მასწავლებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სტუდენტთა გამოხმაურებას (უკუკავშირს), რაც აზრიანს ხდის სტუდენტის პრაქტიკას და ეხმარება მას, კარგად გააცნობიეროს, რასაც აკეთებს და არა მხოლოდ ავტომატურად (მექანიკურად) გაიმეოროს. ამგვარი სწავლება მნიშვნელოვან ეფექტს მხოლოდ სათანადო გამოხმაურების შემთხვევაში გვაძლევს. მასწავლებელმა სტუდენტს უნდა შესთავაზოს აქტივობის სქემა ან

მოდელი ცხადად გამოკვეთილი მიღწევის დონეებით, რომლის საშუალებითაც სტუდენტი შეძლებს განსაზღვროს, რას მოელიან მისგან და როგორ ფასდება მისი წარმატება ანუ რა არის ეფექტური „კეთება“ და მიზნის მიღწევა.

ამრიგად, პრაქტიკის მთავარი პრინციპებია: სტუდენტებისათვის პრაქტიკული დავალების მიცემა, მათი წახალისება და სათანადო უკუკავშირი (გამოხმაურება), რათა მათ აზრიანად იმოქმედონ.

შესაძლებელია, მასწავლებლის სურვილისამებრ, ჯგუფის დონისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, ძირითადი საკითხების ერთ თემად მიწოდება ან პირიქით – ერთი თემის დაყოფა ძირითად საკითხებად.

კეთებით სწავლა უფრო სახალისოა; განსაკუთრებით მაშინ, როცა სტუდენტები თავად ქმნიან თემის შესატყვისი ისტორიული მოვლენის ან ფაქტის რაიმე სახის მოდელს, რუკას. საკუთარი ხელით შექმნილი ამგვარი მოდელები თუ რუკები მრავალი პრაქტიკული და ექსპერიმენტული უნარ-ჩვევის გამომუშავებას უწყობს ხელს.

ვ) თვალსაჩინოებებზე მუშაობა

თვალსაჩინოებებზე მუშაობის მეთოდს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სწავლების პროცესში და სტუდენტებს საშუალებას აძლევს ვიზუალური ინფორმაცია აღიქვან, გაიაზრონ და ახალ ინფორმაციად აქციონ. თვალსაჩინოებები (მაგალითად, რუკები, ილუსტრაციები, ფოტოები და სხვ.) ფართოდ გამოიყენება საზოგადოებრივი მეცნიერებების („მოქალაქეობაც“ ხომ ამ დარგს მიეკუთვნება) სწავლებისას. ამ მიდგომით სტუდენტს უვითარდება ვიზუალური უნარები. იგი იგებს, რომ შეიძლება „წაიკითხო“ არა მარტო ტექსტი, არამედ ფოტოც და რუკაც, რომლისგანაც მაქსიმალური თუ არა, მინიმალური ინფორმაციის მიღება ყოველთვის შეიძლება. თითოეული თვალსაჩინოება ერთგვარ გზამკვლევს წარმოადგენს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლისათვის.

თვალსაჩინოებებზე მუშაობის მეთოდი საშუალებას იძლევა, სტუდენტი დაეუფლოს სემიოტიკურ კომპეტენციას. სემიოტიკური კომპეტენცია არის ვერბალურად და არავერბალურად (რუკის, დიაგრამის, სქემის, ნახატისა და ა. შ. საშუალებით) გადმოცემული ინფორმაციის გააზრებისა და ინტერპრეტაციის, საკუთარი ნააზრევისა და განცდილის სხვადასხვა საშუალებით გადმოცემის, ინფორმაციის ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანის უნარი (მაგალითად, ტექსტის ილუსტრაციით გამოხატვის ან ერთი ფორმით წარმოდგენილი

ინფორმაციის დიაგრამის სახით წარმოდგენის და ა.შ.); ეს პროცესი ეფექტურია და სტუდენტის მრავალმხრივი ინტელექტუალური განვითარების საშუალებას იძლევა.

გაკვეთილისთვის კონკრეტული თვალსაჩინოების არჩევისას გაითვალისწინეთ სტუდენტთა ინტერესები: ამ კონკრეტული თვალსაჩინოების გამოყენება შეძლებს, გაზარდოს სწავლის მოტივაცია? შეძლებენ სტუდენტები ამ რესურსის სათანადოდ გამოყენებას? რა საბაზისო უნარ-ჩვევები აქვთ მათ და რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გამოსაყენებელი თვალსაჩინოება?

ზ) ტექსტზე მუშაობა

წერილობით ტექსტზე მუშაობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საჭირო მეთოდია. ეს აჩვენებს სტუდენტს არასტანდარტული ტექსტების კითხვას, ამდიდრებს მის ლექსიკურ მარაგს, ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

ტექსტზე მუშაობა რამდენიმე ეტაპად უნდა დავყოთ. თავდაპირველად სტუდენტებს ტექსტის ზედაპირული გადათვალიერება უნდა ვთხოვოთ. სასურველია, მათ ტექსტიდან პერსონალების, თარიღების, ობიექტებისა და სხვა, ადვილად აღსაქმელი ინფორმაციის გამოცალკევება და ამოწერა დავავალოთ. ტექსტის ამგვარად დამუშავების შემდეგ სტუდენტებს ძირითადად აღარ აშინებთ მასალის ტექსტის სირთულე და უკვე მზად არიან უფრო რთული აქტივობების შესასრულებლად.

მომდევნო ეტაპზე საჭიროა ტექსტი აზრობრივ აზნაცებად დავანაწილოთ. კარგი იქნება, ასეთ აზრობრივ ერთეულებს სათაურებსაც თუ დავარქმევთ და მათ შინაარსს საჯაროდ გავანალიზებთ.

ტექსტის სტრუქტურული დამუშავების შემდეგ მისი შინაარსობრივი მხარის დამუშავებაზე გადავდივართ. ამისთვის ვსვამთ ანალიტიკურ კითხვებს, რაც სტუდენტს კრიტიკულ აზროვნებას განუვითარებს.

დადებითი მხარეები:

წერილობით წყაროებზე მუშაობა სტუდენტს უვითარებს და აჩვენებს:

- ფაქტებისა და მოვლენების ისტორიული ინტერპრეტაციის უნარს;
- ანალიტიკური მსჯელობის უნარს;
- არასტანდარტული ტექსტების კითხვას;
- წერილობით დოკუმენტებში აღწერილი რეალობის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებას.

რისკ-ფაქტორი:

- შეუსაბამო და გაუმართავი ტექსტის მიწოდება.

თ) პროექტი

პროექტი ძალიან მნიშვნელოვანი და საჭირო ინტერაქტიული მეთოდია. ის საუკეთესო საშუალებაა ცალკეული საკითხების დამოუკიდებლად კვლევისთვის.

პროექტზე მუშაობისას კონკრეტული ვალდებულებები ეკისრებათ როგორც მასწავლებელს, ისე სტუდენტებს, კერძოდ:

- 1) მასწავლებელმა თავად უნდა შეარჩიოს საპროექტო თემა, განსაზღვროს მიზნები და შედეგები და მხოლოდ შემდეგ წარუდგინოს სტუდენტებს. შესაძლებელია გონებრივი იერიშის გამოყენებით სტუდენტებმა შექმნან საკვლევად სასურველი სავარაუდო თემებისა თუ პრობლემური საკითხების ბანკი, მასწავლებლის დახმარებით შეარჩიონ მათ შორის ერთ-ერთი, ყველაზე აქტუალური, დასახონ მიზნები და განსაზღვრონ მოსალოდნელი შედეგები;
- 2) მასწავლებელმა სტუდენტებთან ერთად უნდა განსაზღვროს პროექტის შესრულების ვადები;
- 3) მასწავლებელმა უნდა მიუთითოს რესურსები, რითაც სტუდენტები ისარგებლებენ კვლევის პროცესში;
- 4) მასწავლებელი უნდა დაეხმაროს სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში უნდა გაუწიოს კონსულტაციები.

პროექტის შესაქმნელად საჭირო საყრდენი კითხვები:

რა? – მიზანი;

როგორ? – ამოცანები;

ვინ? – მონაწილეები;
ვისთვის? – ვინ ისარგებლებს;
როდის? – რა ვადებში.

როგორი უნდა იყოს პროექტი?

სპეციფიკური;
გაზომვადი;
მიღწევადი – შესრულებადი;
რეალისტური;
დროში განსაზღვრული.


ი) შემთხვევის განხილვა

შემთხვევის განხილვის მეთოდი ინიცირებულ შემთხვევის განხილვას გულისხმობს. მისი მიზანია კონკრეტული შემთხვევის განხილვის საფუძველზე დამატებითი ინფორმაციისა და ცოდნის შეძენა. მასწავლებელი სტუდენტებს ჯგუფებად ყოფს, თითოეული ჯგუფი საკუთარი შეხედულებისა და ინტერპრეტაციის საფუძველზე განიხილავს მოცემულ შემთხვევას; შემდეგ იმართება დისკუსია იმის შესახებ, თუ რომელი პოზიციაა უფრო ადეკვატური და რეალური. მოდელები სხვადასხვაა:

- 1) **ნამდვილი ამბავი/რეალურად მომხდარი ამბავი** – ისტორიული წყაროებისა და ყოფითი ფაქტების გამოყენება;
- 2) **ჰიპოთეტური ამბები** – ამ შემთხვევაში განსახილველი საკითხის შერჩევის ფართო არჩევანი არსებობს. მასწავლებელს შეუძლია თავად შეარჩიოს მოქმედების ადგილი, მონაწილე პირები თუ სოციალური ჯგუფები, იმის მიხედვით, თუ რა შედეგის მიღწევა სურს;
- 3) **საველე კვლევა** – კვლევის დროს მიღებული კონკრეტული შედეგის სტაციონალური ანალიზი-განხილვა.

თ) ვენის დიაგრამა

სწავლა სწავლების პროცესში ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად გამოყენებადი გამოსახვის საშუალებაა. დაფაზე ან ქაღალდზე იხატება ერთმანეთის მკვეთი ორი წრე:



მასწავლებელმა იგი მრავალმხრივ შეიძლება გამოიყენოს; ძალიან მოსახერხებელი და კომფორტულია მოვლენებისა და ფაქტების შესაპირისპირებლად, შესადარებლად და მსგავსება-განსხვავებების დასადგენად. სავარჯიშო მასწავლებელს ეხმარება ინფორმაციის დახარისხებაში, ტიპოლოგიზაციაში და ეფექტური ვიზუალური ფორმატით წარმოჩენაში. სავარჯიშო სრულდება ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფებში.

❖ დისკუსია-განხილვა

დისკუსია ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ეფექტური და ხშირად გამოყენებული მეთოდია. მისი მიზანია სხვადასხვა მიდგომის, იდეისა თუ პრობლემის ჯგუფში წარმოდგენა. სალექციო ტიპის გაკვეთილისგან განსხვავებით, დისკუსიის დროს სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ ამა თუ იმ საკითხის განხილვაში. დისკუსია ხელს უწყობს ისეთი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორიცაა: მსჯელობა, აქტიური მოსმენა, განსხვავებული აზრის პატივისცემა, კორექტული ქცევა, არგუმენტების ჩამოყალიბება და სხვ. დისკუსიამ, როგორც აქტივობამ, შეიძლება

კარგი მოტივაციაც შექმნას, რომ, მაგალითად, სტუდენტებმა მოიპოონ ახალი ინფორმაცია, გაიმყარონ ცოდნა და უფრო ძლიერი და ობიექტური არგუმენტებით დაუპირისპირდნენ განსხვავებულ აზრს.

დისკუსიის სწორად წარსამართად აუცილებელია მისი თავიდანვე ორგანიზება და ერთგვარი კონტროლი, რაც გულისხმობს გარკვეული წესების დაცვას, რომლებსაც სტუდენტები მასწავლებელთან ერთად ჩამოაყალიბებენ. ასე, მაგალითად:

- ✓ როცა ერთი ლაპარაკობს, სხვები უსმენენ;
- ✓ რაიმეს თქმა თუ გსურს, აიწიე ხელი;
- ✓ სხვას არ გააწყვეტინო სიტყვა;
- ✓ დაუშვებელია სხვა მოსაუბრის ქილიკი;
- ✓ კამათში ყველა იღებს მონაწილეობას და ა. შ.

წესების ჩამონათვალი შეიძლება გაიზარდოს მასწავლებლისა და სტუდენტების შეთანხმების საფუძველზე.

დისკუსიის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს საკმარისი ცოდნა ჰქონდეთ სადისკუსიო თემაზე, რათა შეძლონ საკუთარი აზრის გამოთქმა, მისი დაცვა ან სხვისი აზრის გაკრიტიკება; წინააღმდეგ შემთხვევაში, დისკუსია აზრს დაკარგავს.

დისკუსიის წარმატებით ჩატარებაზე, პირველ რიგში, მასწავლებელია პასუხისმგებელი. მან უნდა დაარეგულიროს პროცესი და შეასრულოს ფასილიტატორის როლი. მასწავლებელმა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს დისკუსიის ჩატარების ფორმატი: ვინ და რა დროის განმავლობაში ილაპარაკებს, რა თანმიმდევრობით, როგორ უნდა დაისვას შეკითხვები და ა.შ.

დისკუსიისას მნიშვნელოვანია კითხვების სწორი ფორმულირება. კითხვები განსხვავდება დანიშნულების მიხედვით: დისკუსია იწყება ე.წ. მთავარი კითხვით, რომელიც განსაზღვრავს დისკუსიის არსს, წარმოაჩენს სადისკუსიო საკითხს. შემდეგ მასწავლებელმა შეიძლება დასვას დამაზუსტებელი კითხვები, დისკუსიის მიმართულების მისაცემად და/ან შესაცვლელად. დასაშვებია, მოსწავლის მიერ მასწავლებლისათვის დასმული კითხვა სხვა მოსწავლისაკენ იქნეს მიმართული, იმ მიზნით, რომ დისკუსიაში ყველა ჩაერთოს.

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ დისკუსიის პროცესში არავინ იყოს დომინანტი, არ გამოხატოს სიმპათია თუ ანტიპათია მოკამათე მხარეების მიერ გამოთქმული კონკრეტული მოსაზრებების მიმართ; ის უნდა იყოს ნეიტრალური ფიგურა, რომელსაც ყველასთან თანაბარი დამოკიდებულება ექნება.

დისკუსია რომ ეფექტური იყოს, ამ პროცესში ერთდროულად არ უნდა მონაწილეობდეს ძალიან ბევრი სტუდენტი; დიდ ჯგუფთან მუშაობისას მასწავლებელმა უნდა შეძლოს ყველა მოსწავლის ჩართვა დისკუსიაში. მნიშვნელოვანია დისკუსიაში მონაწილე მხარეები წარმოდგენილი იყოს სტუდენტთა თანაბარი რაოდენობით. სასურველია, „მოწინააღმდეგე“ მხარეები ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ, ხოლო მასწავლებელს, როგორც დისკუსიის ფასილიტატორს, ორივე ჯგუფთან თავისუფლად შეეძლოს ურთიერთობა.

უნდა აღინიშნოს, რომ დისკუსიის სხვადასხვა ფორმა არსებობს, რაც ინტერპრეტაციისა და აქტივობის მრავალფეროვნად ჩატარების საშუალებას იძლევა. ეს ფორმებია:

- 1) „მრგვალი მაგიდა“ – სტუდენტთა მცირე ჯგუფს შორის გამართული საუბარი წინასწარ შერჩეულ თემაზე (ამ დროს ხდება აზრთა ურთიერთგაცვლა);
- 2) „პანელური დისკუსია“ – თითოეულ ჯგუფს ჰყავს წინასწარ არჩეული ლიდერი; მათი დახმარებით საკითხი განიხილება ჯგუფებში და მხოლოდ შემდეგ გამოაქვთ კლასის წინაშე;
- 3) „ფორუმი“ – პანელური დისკუსიის მსგავსია, რომლის დროსაც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ჯგუფი საკუთარ მოსაზრებებს კლასს (დანარჩენებს) უზიარებს;
- 4) „სიმპოზიუმი“ – მონაწილეები ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ დამოუკიდებლად გამოდიან მოხსენებებით და დაინტერესების შემთხვევაში პასუხობენ კლასის კითხვებს;
- 5) „დებატები“ – აგებულია მონაწილეთა წინასწარ დაგეგმილ გამოსვლებზე. კამათი იწყება ორი დაპირისპირებული მხარის თითო წარმომადგენლის გამოსვლით. გამომსვლელთა დრო წინასწარ არის განსაზღვრული;

- 6) „სასამართლო სხდომა“ – ეს არის საქმის სასამართლოში განხილვის იმიტაცია;
- 7) „კუთხეები“ – ეს მეთოდი გამოიყენება საკლასო დისკუსიის წარმართვისას, კამათის პროვოცირებისა და ჯგუფებს შორის პაექრობისთვის; ასევე სასურველია ეს მეთოდი გამოვიყენოთ ტექსტის კითხვის ან ფილმის ნახვის შემდეგ. პედაგოგი სტუდენტებს სთავაზობს მოსაზრების მზა ფორმულირებას, რომელთან დამოკიდებულებასაც სტუდენტები გამოხატავენ ოთახის შესაბამისი კუთხის არჩევით, სადაც წინასწარ არის გაკეთებული წარწერები: „ვეთანხმები“, „არ ვეთანხმები“, „ვარ ნეიტრალური“;
- 8) „თოქ-შოუ“ – სატელევიზიო თოქ-შოუს მსგავსად მასწავლებელი ასრულებს გადაცემის წამყვანის როლს. მიკროფონის დანიშნულება შეიძლება შეასრულოს კალამმა ან რაიმე სხვა ნივთმა. კალამი-მიკროფონის დანიშნულება ისაა, რომ სიტყვი თქმის უფლება დისკუსიის მხოლოდ იმ მონაწილეს აქვს, ვისაც იგი ხელში უჭირავს ან მასწავლებელი ვისაც გადასცემს.

დადებითი მხარეები:

- სტუდენტები დისკუსიის დროს განხილულ საკითხებს კარგად იმახსოვრებენ;
- მაღალია სტუდენტთა მონაწილეობის ხარისხი (ჩართულობა);
- სტუდენტს ეძლევა საკუთარი აზრის ჩამოყალიბების, გამოთქმისა და დასაბუთების შესაძლებლობა.

რისკ-ფაქტორი:

- დისკუსიის მსვლელობისას, თუ წამყვანი სრულყოფილად ვერ მართავს ჯგუფს, ეს აქტივობა არარაციონალური იქნება და დიდ დროს წაიღებს.

დისკუსიის დასრულების შემდეგ აუცილებელია პროცესის შეჯამება, რასაც თავდაპირველად აკეთებს მასწავლებელი, ხოლო გამოცდილების დაგროვების შემდეგ ამ პროცესში სტუდენტებიც აქტიურად ერთვებიან.

შეჯამებისას უნდა გაანალიზდეს როგორც შინაარსი, ანუ რა მოგვცა დისკუსიამ, რა გვასწავლა და ა.შ., ისე პროცესი – რამდენად კომფორტულად გრძნობდნენ სტუდენტები თავს, ადვილი იყო თუ არა წესების დაცვა და ა.შ.

დისკუსიის ჩატარება, როგორც წესი, არ საჭიროებს განსაკუთრებულ გარემოს ან დამხმარე საშუალებებს, თუმცა სასურველია გვექონდეს დაფა, რათა დისკუსიაში მონაწილე მხარეებს მიეცეთ საკუთარი აზრების წერილობით გამოხატვის საშუალება.

❖ ვიქტორინა

გუნდური ვიქტორინა ბლიც-შეკითხვებზე აგებული შეჯიბრია და ცოდნის გამოცდის, გახსენებისა და გამყარებისთვის ეფექტური მეთოდია. ვიქტორინა, დებატების მსგავსად, მოსამზადებელ სამუშაოს ითხოვს. სტუდენტები თავად ირჩევენ თემას, ინაწილებენ თემის სეგმენტებს, აწარმოებენ ინფორმაციის კვლევა-გამოძიებას.

ვიქტორინა უპირატესობა ისაა, რომ მისი განხორციელება ნებისმიერ თემასთან მიმართებაში შეგვიძლია. ვიქტორინის ჩატარება ორგვარად არის შესაძლებელი: 1) პედაგოგმა თავად შეუდგინოს კითხვები წარსულსა და თანამედროვეობაში მიმდინარე მოვლენის ან კონკრეტული პირის ირგვლივ; 2) მსგავსი ტიპის მასალის შექმნა შესაძლებელია თავად სტუდენტებსაც დავავალოთ.

დადებითი მხარეები:

- ვიქტორინა ხელს უწყობს სტუდენტებში ცოდნის მობილიზებას;
- ვიქტორინის მიმდინარეობა საკმაოდ აზარტულ ხასიათს ატარებს და სახალისოა;
- ხელს უწყობს სტუდენტთა გააქტიურებას.

რისკ-ფაქტორი:

- „დამარცხებული“ გუნდის დემოტივირება შეიძლება გამოიწვიოს;
- გუნდური ვიქტორინის დროს შესაძლოა ძირითადად ყველაზე მცოდნე იაქტიუროს და გუნდის დანარჩენი წევრები „ჩრდილში“ დარჩნენ.

* * *

ნებისმიერი მეთოდის დროს სტუდენტები შეიძლება ვამუშაოთ ინდივიდუალური, წყვილური, ჯგუფური ან ფრონტალური **ორგანიზაციული ფორმის** გამოყენებით.

წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობა ძალიან ეფექტური, სტუდენტთა ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი აქტივობაა. ორგანიზების ეს ფორმები ხელს უწყობს თანამშრომლობის, გუნდური მუშაობის და, თუნდაც, ლიდერის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები აცნობიერებენ დროის ფასს და მისი რაციონალურად გამოყენების აუცილებლობას, სწავლობენ და ეჩვევიან ფუნქციების დანაწილებას და, რაც მთავარია, კოლეგების მიმართ

უვითარდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა. ქვემოთ წარმოვადგენთ წყვილებში მუშაობის რამდენიმე აუცილებელ წესს:

- მასწავლებელი სტუდენტებს ყოფს წყვილებად;
- ყველას ეძლევა საერთო დავალება და მასწავლებელი თავად ანაწილებს ფუნქციებს;
- სტუდენტები დავალებას ასრულებენ წყვილებში;
- დრო განსაზღვრულია, თუმცა დამოკიდებულია დავალების სირთულეზე.

ნიშანდობლივია, რომ წყვილებში მუშაობის დროს გამომუშავებული თანამშრომლობის უნარ-ჩვევები კიდევ უფრო მტკიცდება ჯგუფში მუშაობისას.

ჯგუფებად დაყოფის მრავალი ხერხი არსებობს: თანაბარი შესაძლებლობების ბავშვებით დაკომპლექტება, გოგონებისა და ბიჭების გუნდი, სტუდენტების მეგობრული ურთიერთობების გათვალისწინება, შემთხვევითი შერჩევა და ასე შემდეგ, თუმცა აუცილებელია ჯგუფების დანაწილება მოხდეს სწრაფად, 2-3 წუთის განმავლობაში.

რაც შეეხება ჯგუფში მუშაობის წესებს (მაგალითად, ლიდერის შერჩევა, ვინ წარადგენს პრეზენტაციას და სხვ.), სასურველია, ეს წესები თავად სტუდენტებმა დაადგინონ, თუმცა შესაძლებელია გაითვალისწინონ მასწავლებლის დირექტივა ან რჩევა.

მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს დროის ლიმიტი – დავალების შესრულების, პრეზენტაციისა და შეფასებისთვის.

სამუშაოს დასრულების შემდეგ თითოეული ჯგუფი წარმოადგენს საკუთარ ნამუშევარს. პრეზენტაციის მსვლელობისას მასწავლებელი და სტუდენტები გამომსვლელს კითხვებს არ უსვამენ. ბოლოს ნამუშევრები გამოიფინება და მასწავლებელი აფასებს მათ წინასწარ შერჩეული შეფასების სქემის საფუძველზე.

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფებში მუშაობის რამდენიმე აუცილებელი წესი:

- 1) სტუდენტთა დაყოფა სასურველია 3-4 წევრიან ჯგუფებად, რაც, ზოგადად, წარმოადგენს ჯგუფის წევრთა ოპტიმალურ რაოდენობას;
- 2) ყველას ეძლევა საერთო დავალება;

- 3) დავალება სრულდება ჯგუფებში და მისი ყველა წევრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ერთვება მუშაობის პროცესში;
- 4) დავალება სრულდება წინასწარ დადგენილ დროში (15-20 წუთი);
- 5) ჯგუფი მუშაობს საერთო მაგიდის გარშემო.

თავი II. საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია და მმართველობის სისტემები

ვინაიდან საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი დაკვეთა არის დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქის აღზრდა, რაც არის მიზეზი იმისა, რომ ინტეგრირებული მოდული „მოქალაქეობა“ არის სავალდებულო, თემატური ბლოკებიდან პირველ ეტაპზე წარმოდგენილია „საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია და მმართველობის სისტემები“, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავშალოთ დემოკრატიული მმართველობის მოდელი, მისი მართებულობა ჩვენი ქვეყნისთვის და ის ისტორიული რეტროსპექტივა, რა ტიპის საზოგადოებრივი ტრანსფორმაციების გამოძახილიც იყო მმართველობის სისტემების დროში ცვალებადობა, რამაც თანამედროვე დემოკრატიამდე მოგვიყვანა.

გზამკვლევის მეორე თავში „საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია და მმართველობის სისტემები“ სარეკომენდაციო შინაარსობრივი საკითხები დავაჯგუფეთ იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს როგორც თემატურ სათაურს, ასევე **ოთხივე** სწავლის შედეგს (რასაკვირველია, ცალკეული შესრულების კრიტერიუმების გათვალისწინებით). ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელიც ნათლად აჩვენებს შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის პრინციპს, ანუ რა უნდა ვასწავლოთ სტუდენტებს თემატური ბლოკის ფარგლებში, რომ ყველა შედეგი დამუშავდეს.

როგორც წესი, ერთი თემატური ერთეულის შიგნით მეტ-ნაკლებად ყველა სასწავლო შედეგი მუშავდება (იხ. ცხრილის პირველი სვეტი). მეორე სვეტში დაჯგუფებულია ამ შედეგების ის კონკრეტული შესრულების კრიტერიუმები, რომლებიც უშუალო კავშირშია თემატურ ბლოკთან. მესამე სვეტში წარმოდგენილია თემატურ ბლოკში შემავალი სარეკომენდაციო საკითხები, რომელიც შეიძლება დაჯგუფდეს ამა თუ იმ კონკრეტული თემატური ერთეულის ქვეშ. აქვე გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ყველა საკითხის გავლა არაა აუცილებელი წინაპირობა პედაგოგისა და სტუდენტისთვის კრედიტის მისაღწევად. რეკომენდირებული საკითხები (მით უფრო ისტორიული) „ქეისებად“ (განსახილველ შემთხვევებად) უნდა იყოს გამოყენებული და თუ ტიპოლოგიურად მსგავსი „ქეისები“

საკითხთა ჩამონთვალში რამოდენიმეა, პედაგოგს შეუძლია აწმყოსა და წარსულის დაკავშირება მისთვის სასურველი მაგალითით მოახდინოს.

„მოქალაქეობის“ მოდულის სწავლების დროს მთავარი უნდა იყოს კონტექსტის ფლობა და ამ თვალსაზრისით არა მაგალითების სიმრავლე, არამედ საკვანძო ცნებების შესწავლა – ზოგად მოდულში (ამ შემთხვევაში “მოქალაქეობა”) საორიენტაციოდ და მისი შინაარსის ადეკვატურად აღქმისთვის აუცილებელი ლექსიკური ერთეულების დამუშავება და ცოდნა. **კონკრეტული თემატური ერთეულისთვის აუცილებელი ცნებები მოყვანილია ჩარჩოში.**

საკვანძო -ცნებები: მმართველობის ფორმა (რესპუბლიკა, მონარქია), პოლიტიკური რეჟიმი, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი (აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო), წარმომადგენლობითი ორგანოები, რევოლუცია, ევოლუცია, რეფორმა, საზოგადოება („ჰორიზონტალური” და „ვერტიკალური”)

ჩვენს მიერ მოყვანილი თემატური ცნებები როგორც ვიცით, მთლიანდება დიდი კონცეპტუალური, სამიზნე ცნებების ქოლგის ქვეშ, მაგალითად:

- ძალაუფლება - მმართველობის ფორმები - წოდებრივი მონარქია- **წოდებრივ-წარმომადგენლობითო ორგანოები** ;
- ძალაუფლება - ~~მმართველობის ფორმები~~ (რესპუბლიკა, მონარქია), **პოლიტიკური რეჟიმი**;
- დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები → **ხელისუფლების დანაწილების პრინციპი** - აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო
- ისტორიული მოვლენა/პროცესი **პოლიტიკური/სოციალური ისტორია** **რევოლუცია, ევოლუცია, რეფორმა**
- სოციალიზაცია → **საზოგადოება, საზოგადოებრივი ჯგუფები**
→ „ჰორიზონტალური” და „ვერტიკალური”

ცნებათა იერარქიზირებამ არ სეგაშინოთ. გაითვალისწინეთ, რომ საგაკვეთილო პროცესში თქვენ უმეტესწილად, მეორე და მესამე კატეგორიის ცნებებს იყენებთ (იხ. მოდული, სტანდარტული ჩანაწერი) რომელიც საგნობრივი

და თემატური ხასიათისაა, ან სულაც მეოთხე კატეგორიისა, რომელიც არც გვაქვს იერარქიაში მოცემული მოთითებული, იმიტომ რომ, შეიძლება სულაც შინაარსობრივ საკითხს ჰგავდეს.

მოდულის **(მთლიანობით)** აღქმისთვის ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ისეთი შეკითხვების შემოთავაზება, რომლითაც გასაგები უნდა გახდეს, თემატურ^ი ერთეულის მეშვეობით უვიტარდება თუა არა საჭირო საგნობრივი უნარები სტუდენტს მთელი თემატური ერთეულის სწავლება იმგვარად უნდა მიმდინარეობდეს, რომ მისი გასრულების შემდეგ სტუდენტებს ამ ტიპის შეკითხვებზე პასუხი არ გაუჭირდეთ. ეს შეკითხვები არ არის საგაკვეთილო პროცესის შეკითხვები, მაგრამ როდესაც გაივლით მთელ თემატურ ერთეულს, გათვლილს 1 ან 2 კრედიტზე, საბოლოო ეტაპზე, მან უნდა შეძლოს ადეკვატური რეფლექსიის მოხდენა.

საკვანძო შეკითხვები:

- ✓ რატომ ახდენდა და ახდენს საზოგადოების სხვადასხვა ფენის ჩართულობა დემოკრატიული მართვის მოდელის მდგრადობაზე გავლენას?
- ✓ რატომ ითვლება დემოკრატიული მმართველობა პროგრესულ ფორმად?
- ✓ რატომ არის შესაძლებელი დემოკრატიული რეჟიმის არსებობა რესპუბლიკისა და კონსტიტუციური მმართველობის ფორმატში და არა აბსოლუტური მონარქიისა და იმპერიის ფორმატში?
- ✓ რატომ არის მნიშვნელოვანი სოციალურ დაკვეთაზე ორიენტირებული რეფორმების გატარება „ზემოდან“ ქვეყნის ევოლუციურად განვითარებისთვის?

--

საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია და მმართველობის სისტემები		
სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები	სარეკომენდაციო საკითხები, რომელიც შეიძლება მოიცვას თემატურმა ერთეულმა ¹
1. საკუთარი და სხვა ადამიანების უფლება-მოვალეობების გაცნობიერება და დაცვა; ამ უფლებების განვითარების ისტორიული საფუძვლების გააზრება.	• სხვადასხვა ეპოქასა და სოციუმში ადამიანის ღირსების საერთო მახასიათებლებს გამოყოფა; • სხვადასხვა ეპოქაში კანონისა და ადამიანის უფლებების დაცვის საშუალებების ერთმანეთთან შედარება; • სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ტიპის დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების ერთმანეთთან დაკავშირება, მათი შემცირების გზების შესახებ მსჯელობა; • ადამიანის პიროვნული და საზოგადოებრივ ინტერესების ერთმანეთთან შედარება; • უმცირესობებსა და მოწყვლად ჯგუფებთან საზოგადოების ურთიერთობის თავისებურებებისა და მათი დახმარების შესაძლებლობების განსაზღვრა; • ამა თუ იმ ეპოქის საზოგადოებაში სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლებისა და მათ უფლება-მოვალეობების შედარება; • ადამიანის უფლებების განვითარების	• დემოკრატიული მმართველობის მოდელი. • სოციალური ჯგუფების კლასიფიკაცია; • სახელმწიფოს მმართველობის ფორმები (რესპუბლიკა და მონარქია) ისტორიული ეპოქების კვალდაკვალ; • რომაული საზოგადოება, სახელმწიფო წყობა • ფეოდალიზმი,

¹ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სარეკომენდაციო საკითხები რომლებიც დაჯგუფებულია თემატურ ერთეულში, არამცდარაზმც არ უნდა იქნას აუცილებლად განხილული გაკვეთილის თემატიკის ჩამონათვალად. შეიძლება რომელიმეს კიდეც მიეძღვნას კონკრეტული გაკვეთილი, თუმცა ასევე შესაძლებელია, რომ ორი-სამი ერთი კონკრეტული გაკვეთილის ფარგლებშიც გაიშალოს. ან ერთ კონკრეტულ, ტიპურ საკითხს ორი და მეტი გაკვეთილიც კი მიეძღვნას. პედაგოგმა თემატური ერთეულისთვის საჭირო უნარები უნდა განუვითაროს სტუდენტს და რამდენი მასალა დასჭირდება ამისთვის, მისი გადასაწყვეტი იქნება, გამომდინარე მსმენელთა შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან.

	ისტორიული საფუძვლების კვლევა.	ქალაქები შუა საუკუნეებში;
2. დემოკრატიის პრინციპების ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება, ჩამოყალიბების ისტორიული საფუძვლების გაცნობიერება. მათი	• პირდაპირი დემოკრატიის განხორციელების ფორმებში მონაწილეობის, როგორც მოქალაქის უფლება-მოვალეობის, მნიშვნელობის დასაბუთება; • სხვადასხვა ეპოქაში ინფორმაციის მოპოვების და საჯაროობის უზრუნველყოფის გზების შედარება; პროცედურების დაცვით მისთვის სასურველი/საინტერესო საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა; • წარსულსა და თანამედროვეობაში, სახელმწიფო მმართველობაში საზოგადოების ზეგავლენით მომხდარი ცვლილებების შედეგების დემოკრატიის მშენებლობაში წინსვლასთან/უკუხვედრასთან დაკავშირება; • სხვადასხვა ეპოქაში ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზების ერთმანეთთან შედარება; • ამა თუ იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი მმართველობის ფორმებისა და პოლიტიკურ რეჟიმების მახასიათებლების შედარება; • კულტურული, ეთნიკური, რელიგიური მრავალფეროვნების საზოგადოების/სახელმწიფოს განვითარებასთან დაკავშირება; • ძლიერი თვითმმართველობის სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირება.	• წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები; • საქართველოს სახელმწიფოს მმართველობის განვითარება; • საფრანგეთში რესპუბლიკისა და ბონაპარტეს იმპერიის დამყარება; • ალექსანდრე მეორის რეფორმები რუსეთის იმპერიაში;

3. სამოქალაქო აქტივობებში საკუთარი ჩართულობისა მნიშვნელობის გაცნობიერება; ისტორიულად არსებული თანამედროვე მონაწილეობის ფორმების ერთმანეთთან შედარება.	და • ისტორიულ/ თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებში ადამიანთა მონაწილეობის მოტივაციაზე მსჯელობა; • სხვადასხვა ეპოქის საზოგადოებრივ/ პოლიტიკურ პრობლემების ამოცნობა და მათი მოგვარების შესაძლო გზების დასახვა დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებით; • სამოქალაქო საზოგადოებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და მასმედიის როლის კვლევა; • მმართველობით სტრუქტურებისა და პოლიტიკური რეჟიმების ცვლილებების მიზეზების გამოკვეთა; • წარსულსა და თანამედროვეობაში რელიგიის, როგორც ადამიანის იდენტობის ერთ-ერთი საშუალების მნიშვნელობების შედარება; • სხვადასხვა ეპოქაში საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთობების შედარება და კულტურული ცხოვრების განვითარებასთან დაკავშირება.	

4. საკუთარი გადაწყვეტილებების/შეხედულებების ისტორიული წყაროების/უმთავრესი სამართლებრივი დოკუმენტების (მაგალითად, საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია) საფუძველზე დასაბუთება; ამ დოკუმენტების ჩამოყალიბების ისტორიული საფუძვლების გააზრება.	• ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური ან სხვა ტიპის წყაროების გამოყენებით სხვადასხვა ეპოქის სოციალურ სტრუქტურების შედარება; • დემოკრატიული სახელმწიფოსთვის სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობის დასაბუთება; • კონკრეტულ ეპოქაში ქართული სახელმწიფოს მიმართ სხვადასხვა სახელმწიფოს ინტერესების კვლევა; • კონკრეტული მოღვაწის მიერ არჩეული საშინაო/საგარეო პოლიტიკური კურსის შედეგების შეფასება; • წყაროებზე დაყრდნობით მსოფლიოში განვითარებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის/პროცესის საქართველოზე მოხდენილ ნეგატიურ ან პო-ზიტიურ გავლენასთან დაკავშირება; • რომელიმე სახელმწიფოს (მათ შორის, საქართველოს) მაგალითზე ამა თუ იმ ეპოქაში მისი გაერთიანებისა თუ დაშლის განმაპირობებელი საშინაო და საგარეო ფაქტორების დაჯგუფება;	

	• ისტორიული მოვლენის შესახებ არსებული სხვადასხვა საისტორიო წყაროების/მონაცემების შედარების საფუძველზე იმ ფაქტორების გაანალიზება, რამაც განაპირობა ამ მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობა; • ტერიტორიული და გეოპოლიტიკური ფაქტორების სახელმწიფოს წარმოქმნა-განვითარებასთან დაკავშირება; • სხვადასხვა ისტორიული ეპოქისთვის/საზოგადოებრივი დამახასიათებელი მსოფლმხედველობების შედარება.	
--	---	--

ამ სქემიდან გამომდინარე, გზამკვლევში აქტივობები იმგვარად არის მოწოდებული, რომ მოახდინოს მოსწავლის პროვოცირება, დააინტერესოს თემით. ინტერაქტიული სწავლების მეთოდების გზით მუდმივად ვინარჩუნებთ თანამედროვეობისა და წარსულის კავშირს.

ამ თემატური ბლოკის ფარგლებში ჩატარებული გაკვეთილები მიზნად უნდა ისახავდეს იმას, რომ სტუდენტებს ხელი შეეუწყოს, გაიაზრონ:

✓ — დემოკრატიული მმართველობის არსი და ისტორიული საფუძვლები,

✓ დემოკრატიული მმართველობის საჭიროება;

✓ როგორ არის ორგანიზებული საქართველოში სახელმწიფო მმართველობა: რატომ და როგორ არის ხელისუფლება დანაწილებული;

✓ რა ფუნქციები აქვთ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს,

✓ რატომ უნდა მიიღონ მოქალაქეებმა აქტიური მონაწილეობა დემოკრატიული სახელმწიფოს ცხოვრებაში და როგორ შეუძლიათ მათ ამის გაკეთება;

✓ საზოგადოებრივი ჯგუფების ჩართულობის მნიშვნელობა სხვადასხვა ისტორიულ პროცესებში;

✓ რატომ არის ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მმართველობის ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა, რა ისტორიული საფუძვლები აქვს დემოკრატიულ-რესპუბლიკურ მმართველობას საქართველოში;

- ✓ მმართველობის როგორი სისტემები არსებობდა საქართველოში ისტორიულ წარსულში და რა ფაქტორები განაპირობებდა მათ ცვალებადობას;
- ✓ მმართველობის რომელი ძირითადი სისტემები განვითარდა მსოფლიოში და როგორ ხდებოდა მათი ცვლილება.

ქვემოთ გთავაზობთ დისციპლინების ინტეგრაციის ფორმატში მომზადებულ რამოდენიმე სანიმუშო, ტიპურ გაკვეთილს იმ სქემით, რა სახითაც პედაგოგებმა შემდგომში თავადაც უნდა შეძლონ „მოქალაქეობის“ გაკვეთილების დაგეგმვა და აწმყოში მიმდინარე მოვლენებისა და წარსულის მაგალითების ადეკვატური სინთეზირება.

ტიპური გაკვეთილი ტიპური მეთოდებისა და აქტივობების გამოყენებით

გაკვეთილის თემა: დემოკრატიული მმართველობა აწმყოსა და წარსულში

სწავლის შედეგები და კრიტერიუმები	გაკვეთილის პირობები და მსვლელობა	
შედეგი: 1. დემოკრატიული ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქის	მიზანი/ მიზნები	სტუდენტებს ხელი შეეუწყობთ: ✓ გაიაზრონ დემოკრატიული მმართველობის არსი, ისტორიული საფუძვლები, მისი საჭიროება.

როლის გაცნობიერება. შესრულების კრიტერიუმები: 2. დემოკრატიის პრინციპების ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება, მათი ჩამოყალიბების ისტორიული საფუძვლების გაცნობიერება. პირდაპირი დემოკრატიის განხორციელების ფორმებში მონაწილეობის , როგორც მოქალაქის უფლება-მოვალეობის, მნიშვნელობის	რესურსები² გაკვეთილის ფაზები	გრიფირებული სახელმძღვანელოები: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისა“ (გვ. 73-75) და „გამომცემლობა დიოგენეს“ მე-11 კლასის ისტორიის სახელმძღვანელოები (გვ. 52-56); „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მე 10 კლასის სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელო, გვ. 126, 128-129; ინტერნეტ-რესურსები: https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90 დაფაზე გაფანტულად ვწერთ ტერმინებს: მონარქია, პრეზიდენტი, მეფე, პარლამენტი, შაჰი, დემოკრატია, უნიტარული, დემოკრატიული, ფედერაციული, კონსტიტუციური მონარქია, არჩევნები, პოლიტიკური რეჟიმი, აბსოლუტური მონარქია და მივმართავთ გონებრივ იერიშს შეკითხვით: – თქვენი აზრით, რის შესწავლას და გაანალიზებას უნდა მიეძღვნას ჩვენი გაკვეთილი? სტუდენტთა პასუხებს, როგორც შეცდომით დასახელებულს, ასევე სწორ ვარიანტებს დაფაზე ვინიშნავთ. ჩვენი დახმარებით ისინი მიდიან იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო მმართველობის ირგვლივ უნდა ჩატარდეს გაკვეთილი. შემდეგ ვუსვამთ შეკითხვას სტუდენტებს: რა ტიპის
--	---	--

² თუ რესურსი აღებულია გრიფირებული სახელმძღვანელოდან, საგაკვეთილო გეგმებში მითითებულია მხოლოდ სახელმძღვანელოს სათაური, გამომცემლობა და კონკრეტული გვერდები. თუ რესურსი ინტერნეტ-სივრცეშია განთავსებული, მას ე.წ. „ლინკის“ სახით ვუთითებთ. დანარჩენი რესურსები (ტექსტები, თვალსაჩინოებები და ა.შ.) პირდაპირ ერთვის საგაკვეთილო გეგმას ან ტიპურ აქტივობას (აქტივობათა ბანკში, იხ. მესამე თავის ბოლოს).

დასაბუთება; • წარსულსა და თანამედროვეობაში, სახელმწიფო მმართველობაში საზოგადოების ზეგავლენით მომხდარი ცვლილებების შედეგების დემოკრატიის მშენებლობაში წინსვლასთან/უკუსვლასთან დაკავშირება; • სხვადასხვა ეპოქაში ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზების ერთმანეთთან შედარება; • ამა თუ იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი მმართველობის ფორმებისა		სახელმწიფოში ვცხოვრობთ? პასუხები იქნება სხვადასხვაგვარი, ზოგი იტყვის დემოკრატიულ სახელმწიფოში, ზოგი რესპუბლიკურში, იქნება არასწორი ვერსიებიც. სტუდენტებს დავურიგოთ ფურცლები, სადაც ჩამოთვლილი იქნება სხვადასხვა ქვეყნები: მაგ., ინგლისი, შვედეთი, საფრანგეთი, აშშ, საუდის არაბეთი, ირანი, ჩრდილოეთ კორეა, ჩინეთი. ვთხოვთ T-დიაგრამის მეშვეობით დააჯგუფონ ქვეყნები, რომლებიც მათი აზრით, უფრო ახლოსაა მართვის ფორმით ჩვენი ქვეყნის მოდელთან და რომელიც არა. ჩვენ შეგვიძლია მაპროვოცირებელი კითხვებით ისინი „დავაბნოთ“ და ვუთხრათ - ინგლისი, ჰოლანდია ან შვედეთი სადაც დღეს მონარქიული მმართველობაა, თქვენი აზრით, არის თუ არა ჩვენი ქვეყნისთვის მისაბამი სახელმწიფოები? თუ თქვენს კი, ჰკითხავთ, მონარქია, სადაც მეფე არსებობს, გულისხმობს დემოკრატიას? ერთგვარი „დაბნეულობის“ შემდგომ, მინი-ლექციის ფორმატში აუხსნით რა ტიპის მახასიათებლებით ხდება სახელმწიფოების განსხვავება და რა არის ეს მახასიათებლები: მართველობის ტიპი, სახელმწიფოს მოწყობა და პოლიტიკური რეჟიმი. ამის კარგად გასააზრებლად მისცემთ მათ კლასშივე წასაკითხად სამოქალაქო განათლების მე-10 კლასის 77-ე პარაგრაფს ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის სახელმძღვანელოდან. წაკითხულის შემდეგ დაფაზე ვუხატავთ ასოციაციურ რუკას (წრეს რამდენიმე „სხივით“) რომლის სხივებზეც წავაწერთ : 1) შეძლებისდაგვარად ყველას ინტერესების დაკმაყოფილება; 2)
---	--	--

და პოლიტიკურ რეჟიმების მახასიათებლე ბის შედარება;		მრავალმხრივი და საინტერესო გადაწყვეტილება; 3) თანხმობა ადამიანებს შორის; უმცირესობის ინტერესების გათვალისწინება; 4) უმრავლესობის ნება; 5) სამართლიანი გადაწყვეტილება; 6) ცალკეული ადამიანების უფლებები და ინტერესები. შემდეგ ვეუბნებით სტუდენტებს რომ წესით მათ მარტივად უნდა ჩამოაყალიბონ მოაზრება: რა შეიძლება იყოს ამ ცნებების გამაერთიანებელი და რატომ? უნდა მივიდნენ იმ აზრამდე, რომ ამ ყველაფერს აერთიანებს და მოიცავს დემოკრატია, რომელიც მათ წაკითხულიდან უკვე იციან, რომ პოლიტიკური რეჟიმის კატეგორია. (ამის შემდეგ ასოციაციური რუკის ცენტრში ჩავწერთ სიტყვა დემოკრატია). თუმცა, მათ ჯერ არ წაუკითხავთ, რას ნიშნავს თავად ეს სიტყვა (<i>როგორია მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობა</i>), სადაური სიტყვაა, არის ის თანამედროვეობის პროდუქტი თუ წარსულში მოიგონა ვინმემ. შეიძლება ამის ირგვლივ სტუდენტებს რაიმე წინარე ცოდნა ჰქონდეთ, ან რაიმე ვარაუდები გამოთქვან. ყველაფრის მოსმენის შემდეგ ჩვენ მათ ვეუბნებით, რომ ეს სიტყვა ბერძნულია დემოკრატია (ბერძნ. δῆμος „დემოს“ — ხალხი; κράτος „კრატოს“ — კანონი, ძალა). ვამღევთ წასაკითხად კლასში დიოგენეს გამომცემლობის მე-11 კლასის ისტორიის სახელმძღვანელოდან მე-12 პარგრაფს (ათენი), ასევე „სამოქალაქო განათლების“ სახელმძღვანელოდან 79-ე პარაგრაფს. წაკითხვის შემდგომ, აწმყოში სტუდენტების გარშემო მიმდინარე მოვლენებზე დაკვირვებით და წარსულში მომხდარი ამბების გავლენით ჯგუფში განვიხილავთ – რა
--	--	---

		მთავარი საერთო აქვს დემოკრატია, რომელიც განსხვავებული ეპოქების მიუხედავად არ კარგავს აქტუალობას (საუბარი იქნება საყოველთაო ჩართულობის მნიშვნელობაზე არჩევითობის გზით). როდესაც ათენისა და თანამედროვე დემოკრატიის დამახასიათებელ ნიშნებს გავიაზრებთ სტუდენტებთან ერთად, გავმართავთ დისკუსიას პედაგოგის ფასილიტატორობით: რატომ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ დემოკრატიული მართვის ფორმატი ყველაზე სასურველია ჩვენი ქვეყნისთვის? შეჯამების სახით, სტუდენტებთან ერთად სქემის სახით ვაყალიბებთ ხელისუფლების დანაწილების პრინციპს (აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო, რომელიც პირდაპირი და ირიბი არჩევითობის პრინციპის საშუალებით ხალხის მიერ საკუთარი უფლებების დელეგირებული კანდიდატების მხრივ განხორციელებული მართვაა). <u>დავალდება:</u> ბაკურ სულაკაურის მე-11 კლასის ისტორიის სახელმძღვანელოდან მე-13 პარაგრაფის წყარო N1 პერიკლეს შესახებ უნდა წაიკითხოთ და შეძლონ დასაბუთება, რატომ (წყაროში ადგილების მითითებით) მიაჩნია პერიკლეს დემოკრატიული მმართველობა საუკეთესოდ და ათენის წარმატების გარანტორად და რა პრინციპებია დღევანდელ მართვაში შენარჩუნებული დღევანდელი დემოკრატიის მიერ?
	გაკვეთილის ხანგრძლივობა	2 საგაკვეთილო საათი

	შეფასება	ვინაიდან მოდულური სწავლება არ გულისხმობს არამცთუ ცალკეულ გაკვეთილებზე, არამედ, კურსის ბოლოსაც კი განმსაზღვრელი შეფასების ქულობრივ გამოყენებას და ფასდება მხოლოდ ჩაეთვალა-არჩაეთვალას პრინციპით (ცოდნის ფაქტობრივი დადასტურების ბაზაზე), ყოველი გაკვეთილის ბოლოს ბუნებრივია, პედაგოგს არ სჭირდება სტუდენტების განმსაზღვრელი შეფასებით შეფასება. მაგრამ კარგი იქნება თუკი განმავითარებელ ³ შეფასებას მოახდენთ, სადაც თითოეული სტუდენტის შესაძლებლობებსა და უნარებზე იქნებით აქცენტირებული.
--	----------	---

ტიპური გაკვეთლის თემა: სოციალური ჯგუფები და მათი გავლენა სახელმწიფო მმართველობის ცვლილებაზე

³ იხ. მეორე თავის ბოლოს

სწავლის შედეგები და კრიტერიუმები	გაკვეთილის პირობები და მსვლელობა	
1. საკუთარი და სხვა ადამიანების უფლება-მოვალეობების გაცნობიერება და დაცვა; ამ უფლებების განვითარების ისტორიული საფუძვლების გააზრება. • თუ იმ ეპოქის საზოგადოებაში სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლები სა და მათ უფლება-მოვალეობების შედარება; ადამიანის უფლებების განვითარების ისტორიული საფუძვლების კვლევა.	მიზანი/ მიზნები	სტუდენტებს ხელი შევუწყობთ, გაიაზრონ: ✓ საზოგადოებრივი ჯგუფების ჩართულობის მნიშვნელობა სხვადასხვა ისტორიულ/პოლიტიკურ პროცესებში; ✓ მმართველობის რომელი ძირითადი სისტემები განვითარდა მსოფლიოში და როგორ ხდებოდა მათი ცვლილება.
	რესურსები	კარიკატურები სამი წოდების ურთიერთმიმართების თემაზე (იხ. დანართი); წყარო 1. ჟ. დანტონი „ძველი რეჟიმის“ შესახებ (ისტორია, XI კლასის სახელმძღვანელო, ავტორები: ნ. კილურაძე და სხვები, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, გვ. 429); წყარო 2. რა არის მესამე წოდება? (ნაწყვეტი აბატ სიეიესის წერილიდან, იქვე, გვ. 430); საქართველოს კონსტიტუცია.
	გაკვეთილის მსვლელობა (აქტივობები)	გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი ეკითხება სტუდენტებს, თუ რა ჯგუფებს მიაკუთვნებენ საკუთარ თავს (სტუდენტობა, სპორტსმენები, ფერმერები, ინტელიგენცია, მუშები და სხვ). პასუხების მოსმენის შემდეგ დაფაზე ხაზავს ასოციაციურ რუკას წარწერით – რა არის სოციალური (საზოგადოებრივი) ჯგუფი. განხილვის შედეგად სტუდენტები უნდა მივიყვანოთ იმ აზრამდე, რომ <i>სოციალური არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ხასიათდება</i>

2. დემოკრატიის პრინციპების ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება, მათი ჩამოყალიბების ისტორიული საფუძვლების გაცნობიერება. • წარსულსა და თანამედროვეობაში, სახელმწიფო მმართველობაში საზოგადოების ზეგავლენით მომხდარი ცვლილებების შედეგების დემოკრატიის მშენებლობაში წინსვლასთან/ უკუსვლასთან დაკავშირება; • სხვადასხვა ეპოქაში ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზების ერთმანეთთან შედარება;	<i>ეკონომიკური, კულტურული, სოციალური და ინტერესების ერთობით.</i> ამის შემდეგ სტუდენტებთან ერთად შევადგინოთ საქართველოში არსებული სოციალური ჯგუფების ჩამონათვალი და დავავალოთ სტუდენტებს: ა) იმსჯელონ, განსხვავდებიან თუ არა ეს სოციუმები უფლებების თვალსაზრისით; ბ) დისკუსიის საფუძველზე მოახდინონ მათი რანჟირება (იერარქიულად დალაგება) საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენის მასშტაბის მიხედვით. აქტივობის პროცესში შეგვიძლია დავიხმაროთ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი (<i>„ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“</i>). ამ დავალების შესრულების შედეგად უნდა გამოიკვეთოს, რომ სოციალურ ჯგუფებს არათანაბარი გავლენა აქვთ სახელმწიფოში, თუმცა ყველა მათგანს თანაბარი უფლებები გააჩნია (კანონის წინაშე ყველა თანასწორია). ამის შემდეგ, პედაგოგი სტუდენტებს ეუბნება, რომ ისტორიულ წარსულში სოციალურ ჯგუფები (ფენები, წოდებები) არ იყვნენ თანაბარუფლებიანები და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზეც ძალზედ არათანაბარი გავლენა ჰქონდათ. შედარებით ნაკლები გავლენისა და უფლებების მქონე ჯგუფები ცდილობდნენ,
---	--

• ამა თუ იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი მმართველობის ფორმებისა და პოლიტიკურ რეჟიმების მახასიათებლების შედარება; 3. სამოქალაქო აქტივობებში საკუთარი ჩართულობისა მნიშვნელობის გაცნობიერება; ისტორიულად არსებული და თანამედროვე მონაწილეობის ფორმების ერთმანეთთან შედარება.		რომ მოეპოვებინათ ღირსეული ადგილი საზოგადოებაში. თუ ამ მიზანს ისინი მშვიდობიანი გზით ვერ აღწევდნენ, ზოგჯერ არც ძალისმიერ საშუალებებს ერიდებოდნენ. ამის საილუსტრაციოდ სტუდენტებს ვთავაზობთ გაეცნონ საფრანგეთის დიდი რევოლუციის შესახებ არსებულ წყაროებსა და კარიკატურებს. თვალსაჩინოებებსა და წყაროებზე მუშაობის გზით ისინი გაიაზრებენ, რაოდენ უსამართლო და არათანასწორუფლებიანი საზოგადოება იყო XVIII საუკუნის საფრანგეთში. შემდეგ სტუდენტებს მინი-ლექციის სახით მივაწოდოთ ინფორმაცია ძველი რეჟიმის ეკონომიკური კრახის, 'გენერალური შტატების' მოწვევისა და დიდი რევოლუციის შესახებ. აქცენტი უნდა გავაკეთოთ იმაზე, თუ როგორ იცვლებოდა საფრანგეთის სახელმწიფო მმართველობის სისტემა და რეჟიმები რევოლუციის პროცესში საზოგადოების ფართო მასების ზეგავლენით (აბსოლუტიზმი – კონსტიტუციური მონარქია – რესპუბლიკა – დიქტატურა), ასევე, როგორ გარდაიქმნა ფრანგული საზოგადოება წოდებრივი სისტემიდან ბურჟუაზიულ საზოგადოებად.
საკუთარი გადაწყვეტილებების/	გაკვეთილის ხანგრძლივობა	2 საგაკვეთილო საათი

შეხედულებების ისტორიული წყაროების/ უმთავრესი სამართლებრივი დოკუმენტების (მაგალითად, საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია) საფუძველზე დასაბუთება; ამ დოკუმენტების ჩამოყალიბების ისტორიული საფუძვლების გააზრება. • ისტორიული მოვლენის შესახებ არსებული სხვადასხვა საისტორიო წყაროების/მონაცემების შედარების საფუძველზე იმ ფაქტორების გაანალიზება, რამაც განაპირობა ამ მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობა.	შეფასება	ამ გაკვეთილის ფარგლებში მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს განმავითარებელი შეფასება: მისცეს სათანადო უკუკავშირი სტუდენტებს დისკუსიის, წყაროებისა და თავალსაჩინოებების ანალიზის დროს გამოვლენილ პოზიტიურ და ნეგატიურ ასპექტებზე.
---	------------------------	---

--	--	--

დანართი





თემატური ბლოგის შეჯამება და სტუდენტების შეფასება

თემატური ბლოგის/თემის შეჯამება უდიდესი მნიშვნელობის მქონეა „მოქალაქეობის“ სწავლა-სწავლების პროცესში. შემაჯამებელი აქტივობის (ტესტი, პროექტი, პრეზენტაცია, როლური თამაში და ა. შ.) ჩატარებამ უნდა გამოვლინოს, დადასტურდა თუ არა სწავლის შედეგების ცალკეული შესრულების კრიტერიუმები კონკრეტული თემის ფარგლებში. მას მთავარი მნიშვნელობა აქვს სტუდენტის შეფასებისა და მისი პორტფოლიოსათვის მტკიცებულებების მოპოვების თვალსაზრისით.

აქედან გამომდინარე, სასურველია შემაჯამებელი მუშაობა პედაგოგმა თემის სწავლების დაწყებისთანავე დაგეგმოს, მოამზადოს შემაჯამებელი აქტივობის საკითხები, შეფასების რუბრიკები და გააცნოს ისინი სტუდენტებს. თემატური ბლოკის დამუშავება ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მიმდინარეობდეს (გარკვეულწილად, თემატური ბლოკის სწავლა-სწავლების პარალელურად) და შემაჯამებელი აქტივობა ამ პროცესის ლოგიკურად დამასრულებელი 'ბოლო აკორდი' უნდა იყოს. თემატური ბლოკის ფარგლებში ჩატარებული გაკვეთილები, დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალები, მაწავლებლის განმავითარებელი კომენტარები უნდა ხელს უწყობდეს და ამზადებდეს სტუდენტს ფინალური აქტივობის წარმატებით განხორციელებისთვის. ამრიგად, თემატური ბლოკის შეჯამება-შეფასება საგაკვეთილო მიზნებთან ერთად პედაგოგისა და სტუდენტებისათვის ის მთავარი ორიენტირია, რომლისკენაც უნდა მიმართონ საკუთარი ძალისხმევა და სწავლა-სწავლების პროცესი.

ზემონათქვამიდან გამომდინარე, პედაგოგებს ვთავაზობთ პირველი თემატური ბლოკის – „საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია და მმართველობის სისტემები“ – შემაჯამებელი აქტივობების ნიმუშებს თავისი შეფასების რუბრიკებით.

თემატური ბლოკის „საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია და მმართველობის სისტემები“ სწავლა-სწავლების პროცესის გარკვეულ ეტაპზე მასწავლებელი სტუდენტებს სთავაზობს, აირჩიონ ქვემოთ მოცემული საკითხიდან ერთ-ერთი:

- 1) წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოებიდან თანამედროვე საკანონმდებლო სტრუქტურებამდე;
- 2) თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო მმართველობის სისტემა და მისი ისტორიული საფუძვლები;
- 3) ინგლისი – პარლამენტარიზმისა და კონსტიტუციური მონარქიის ფუძემდებელი მსოფლიოში;
- 4) დიდი ფრანგული რევოლუცია და მისი გამოცხადებული მსოფლიოში – მმართველობითი სისტემების „საცდელი პოლიგონი“;

- 5) რეფორმების როლი მმართველობის ტრანსფორმაციაში – ბატონყმობის გაუქმება და ადგილობრივი თვითმმართველობის შემოღება საქართველოში.

საკითხის არჩევის შემდეგ სტუდენტმა უნდა შეასრულოს პროექტული ხასიათის დავალებათაგან ერთ-ერთი:

- ✓ Power Point-ში ან Prezi-ში მომზადებული პრეზენტაცია
- ✓ ან ვენის დიაგრამის გამოყენებით შესრულებული ანალიტიკური თხზულება
- ✓ ან ისტორიული კვლევითი ხასიათის თემა
- ✓ ან ბუკლეტი, ფლერი, კედლის გაზეთი და სხვ.

სტუდენტების მიერ შესრულებული ნამუშევრების შესაფასებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი რუბრიკები:

ნიმუში 1.

პროექტული დავალების შეფასების რუბრიკა	
შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა ⁴
სათანადოდაა გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული პროექტის მიზანი	
დავალება შინაარსობრივად კორექტულია/დავალებაში მოყვანილი ინფორმაცია სანდოა	
ტექსტები ენობრივად გამართულია	

⁴ კრიტერიუმის წონას ჩვენ განგებ არ ვუთითებთ და შესაბამის გრაფებს ღიად ვტოვებთ. მიგვაჩნია, რომ თავად პროფესიულმა სასწავლებელმა (მოდულის მასწავლებლისა და, შესაძლოა, სტუდენტების ჩართულობით) უნდა განსაზღვროს შეფასების ეს კომპონენტი.

შეესაბამება შესაჯამებელ თემას	
გაფორმებულია თემატიკის შესაბამისი თვალსაჩინოებებით (სურათები, ფოტოები, სქემები...)	
ნამუშევარი სტრუქტურულად გამართულია – მისი კომპონენტები ლოგიკურად შეესაბამებიან ერთმანეთს	
არ აღვევს საავტორო უფლებებს/თან ახლავს სამეცნიერო აპარატი	
ნაშრომი ავლენს ავტორის შემოქმედებით მიდგომას	
მოტანილი დასკვნები ადეკვატური და რელევანტურია	

პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა	
შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა
ნამუშევარი შეესაბამება სათაურს და შესაჯამებელ თემას	
პრეზენტაციაში წარმოდგენილი ინფორმაცია სანდოა	
სლაიდ-შოუ ეფექტურია და იპყრობს მსმენელის ყურადღებას	
პრეზენტაციაში ვლინდება მოსწავლის შემოქმედებითობა	
სლაიდები მიზნობრივადაა შერჩეული	
პრეზენტაციიდან ჩანს, თუ რა წყაროებს ეყრდნობა ავტორი	
პრეზენტაცია ხელს უწყობს მსმენელს, ადეკვატურად აღიქვას მოხსენების შინაარსი	

კრიტერიუმებს წონა (ქულებით გამოხატული) მასწავლებელს შეუძლია მიანიჭოს საკუთარი შეხედულებისამებრ, თუმცა სასურველია ეს საკითხი განიხილოს სტუდენტებთან და მათთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილება როგორც წონების, ისე თავად კრიტერიუმების შესახებ. ასევე საჭირო იქნება იმის გადაწყვეტა, თუ რამდენი ქულის მოგროვების შემთხვევაში ჩაითვლება შესრულებული დავალება წარმატებულად. შეფასების

საკითხში მასწავლებლისა და სტუდენტების თანამშრომლობა (შეფასების რუბრიკის კრიტერიუმებისა და მათი წონების განსაზღვრა) ხელს უწყობს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას, ზრდის შეფასების პროცესის ობიექტურობის განცდას სტუდენტებში.

მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება და მასზე დართული შევსებული შეფასების რუბრიკა წარმოადგენს იმის მტკიცებულებას, რომ სწავლის შედეგების ცალკეული შესრულების კრიტერიუმების მიღწევა დადასტურდა.

ზოგიერთ მზა ნიმუშს ჩვენ გთავაზობთ, თუმცა მსმენელების და სამუშაო პროცესიდან გამომდინარე, შეიძლება მოდიფიკაცია გაუკეთოს მათ პედაგოგმა, ან სრულიად ახალი, მისეული ვერსია შექმნას, იმ ძირითად კომპონენტებზე დაყრდნობით, რაც სანიმუშო-პირობით სქემებშია ჩამოყალიბებული.

მოდულისთვის „მოქალაქეობა“, რომელიც საზოგადოებრივ მეცნიერებების ინტეგრაციას გულისხმობს, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობაა პროექტი, რომლის განხორციელებაც სტუდენტს სძენს ცოდნას, უვითარებს არაერთ კვლევით თუ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევას. სასურველია, ამგვარი აქტივობისას პედაგოგს მიეცეს საშუალება თვალყური გაადევნოს შემაჯამებელი სამუშაოს მსვლელობას და მოსწავლის განვითარებას. ამის საშუალებას იძლევა მოსწავლის მიერ შევსებული „**დღიური პროექტებისთვის**“. გთავაზობთ ასეთი დღიურის ნიმუშს.

სტუდენტებს შეგიძლიათ შესთავაზოთ პროექტის სახელწოდება ან მათ შერჩეული სათაურზე შეთანხმდეთ. მათი დღიურის კითხვისას თქვენ შეძლებთ დააკვირდეთ, რა ნაბიჯები გაიარეს სტუდენტებმა, პროექტი რომ შეესრულებინათ; როგორ დაგეგმეს დრო; რამდენად სწორად განსაზღვრეს აქტივობების შესრულების თანმიმდევრობა; რამდენად შეუძლიათ რესურსების მოძიება, მათი სხვადასხვა რეალობაში მოხმარება; რამდენად შეუძლიათ ცოდნის ტრანსფერი როგორც დისციპლინის შიგნით (მსოფლიო და საქართველოს ისტორიის საკითხების კორელაცია), ასევე საგანთშორისი კავშირების დანახვა; იცავენ თუ არა გუნდური მუშაობის პრინციპს; თანამშრომლობენ თუ არა ერთმანეთთან; რამდენად მონდომებულად იმუშავეს.

ჩვენ გთავაზობთ სქემას, რომელიც უნდა შეავსონ სტუდენტებმა (პედაგოგის ინსტრუქტაჟის შემდეგ). პროექტის დღიურს ავსებს თითოეული სტუდენტი. ზოგადად, მსგავსი განმავითარებელი აქტივობები მასწავლებელმა ინდივიდუალურად უნდა შეასრულებინოს სტუდენტს. სტუდენტებს მოეთხოვებათ გონებრივი, ფიზიკური და შემოქმედებითი შესაძლებლობების წარმოჩენა. პროექტში მონაწილე ჯგუფის თითოეული წევრი წერს ჩატარებული

სამუშაოს ანგარიშს/რეზიუმეს. ასევე, პროექტის თითოეული მონაწილე ჩართული იქნება პრეზენტაციაში/დისკუსიაში.

სანიმუშო ვარიანტად გთავაზობთ პროექტის თემას: „წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოებიდან – თანამედროვე საკანონმდებლო სტრუქტურებამდე“. უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის სათაურის აქტუალობა მათთვის გასაგები უნდა იყოს, თუმცა კიდევ ერთხელ თქვენ შეგიძლიათ აუხსნათ, რომ ქვეყნების მმართველობის ფორმების ცვლილება და დემოკრატიულ თუ არადემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმების მონაცვლეობა დამოკიდებულია საზოგადოების ჩართულობაზე პროცესებში.

თემა კომპლექსურია და ეხმიანება როგორც ისტორიულ წარსულს, ასევე თანამედროვეობას. საკითხი მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ სტუდენტს საშუალებას აძლევს მოახდინოს მსოფლიოსა და საქართველოს ისტორიაში მომხდარი მოვლენების ურთიერთდაკავშირება ან შედარება; ასევე შეძლებს დააკავშიროს თანამედროვეობასთან და ადეკვატური დასკვნები გამოიტანოს. უმჯობესი იქნება, თუ სამუშაოდ ორი დიდ ჯგუფს გამოვყოფთ და გავუნაწილებთ თავიდან შესასრულებელ სამუშაოს: პირობითად გავყოფთ მთელ კლასს ორ დიდ ჯგუფად (ა და ბ ჯგუფებად, არჩევანი-არადანის პრინციპით): ა ჯგუფის თითოეული სტუდენტი შეეცდება ევროპის ისტორიის მაგალითზე ჩაულრმავდეს წარსულში წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების მნიშვნელობის დადგენას, მოძებნოს, თუკი არსებობს, რაიმე ანალოგიები საკუთარი ქვეყნის ისტორიაში; ბ ჯგუფი კი შეეცდება თანამედროვეობაში წარმომადგენლობითი ორგანოების როლისა და საზოგადოების ჩართულობის განსაზღვრას პროგრესული და განვითარებული იმიჯის მქონე ქვეყნის კონტექსტში.

პროექტის მონაწილეებს უნდა დავუსახოთ მისაღწევი მიზნები, კერძოდ:

- განსაზღვრონ წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების წარსული მნიშვნელობა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში;
- ისტორიული ფონის გათვალისწინებით, განსაზღვრონ წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოების როლი იმ ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, სადაც ის საკანონმდებლო ორგანოდ იქცა;
- განიხილონ, როგორ წარიმართა იმ სახელმწიფოების განვითარება, სადაც წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები ვერ იქცა საკანონმდებლო ორგანოებად;

- განიხილონ ის მიზეზები და შედეგები, რამაც საქართველოში წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნის წინაპირობაც გააჩინა და ჩაშლაც განაპირობა;
- განისაზღვროს თანამედროვე სამყაროში საზოგადოების ჩართულობის როლი ქვეყნის სამართლებრივ განვითარებაში.

პროექტის მსვლელობაში, როდესაც მეტ-ნაკლებად ამოწურავენ თავიანთ დავალებებს (შეძლებისდაგვარად, თითოეული), პრეზენტაციისთვის მზად რომ იყვნენ და პროექტის სათაურს ბოლომდე რომ უპასუხონ, სტუდენტებმა უნდა გაიაზრონ სხვა ჯგუფთან თანამშრომლობის აუცილებლობა. ა ჯგუფის წევრების მიერ მოწოდებული მასალა ბ ჯგუფს დანაკლისს შეუვსებს (და პირიქით) და საშუალებას მისცემს თითოეულ სტუდენტს, მივიდეს ძირითად დასკვნამდე – როგორც წარსულში, ასევე თანამედროვეობაში საზოგადოების ფართო ფენების ჩართულობა ქვეყნის მართვაში არის მნიშვნელოვანი საკითხი, რომ ამ საკითხს ვრცელი და არაერთგვაროვანი ისტორია აქვს – მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა და საკუთარი ქვეყნის მაგალითზე აშკარაა, რომ საზოგადოების ჩართულობის გამომხატველი ორგანოების სტრუქტურირებისა და განვითარების ხარისხი ყოველთვის პირდაპირ აისახებოდა ამა თუ იმ ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების ნებისმიერ ასპექტზე სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში. პროექტის მსვლელობამ და მეგობრებთან ინფორმაციის გაზიარებამ უნდა უჩვენოს სტუდენტებს, რომ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა საკანონმდებლო ორგანოების შექმნა, ისეთი სტრუქტურების ფორმირებას, რომელიც გამოიწვევს ადამიანების ჩართულობის უზრუნველყოფას ქვეყნის მმართველობაში, საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომ იგი აქტუალური იყო წოდებრივ საზოგადოებაშიც და, რა თქმა უნდა, არსებითია დღესაც.

იმისთვის, რომ მასწავლებელმა სასურველ შედეგს მიაღწიოს, ანუ მსოფლიო და საქართველოს ისტორიის გარკვეული მასალის მიწოდების შედეგად სტუდენტებს შეეძლოთ თავიანთი ისტორიული უნარების გაღრმავება/გამოყენება, დავალებების სახით უნდა შესთავაზოთ მათ განსახორციელებელი აქტივობები. მაგალითისთვის, გთავაზობთ დავალებებს ა და ბ ჯგუფებისთვის. სთხოვეთ სტუდენტებს, აღნიშნულ დავალებებზე მუშაობის პროცესი ეტაპობრივად ასახონ თავიანთ დღიურებში; ჩაწერონ, რა გაუჭირდათ, რა გაუადვილდათ, როგორ დაძლიეს დასახული ამოცანები და დაბრკოლებები და ა.შ.

ა-ჯგუფის დავალებები:

- ✓ გაეცნონ მასალას დასავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითზე, შეარჩიონ ის ქვეყნები, სადაც წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები შეიქმნა განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდში;
- ✓ განსაზღვრონ, რა წოდების წარმომადგენელი ითვლებოდა უფლებამოსილად ყოფილიყო წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი;
- ✓ დაადგინონ ინგლისის პარლამენტის განსაკუთრებული როლი შუა საუკუნეებში შექმნილ წოდებრივ-წარმომადგენლობით სტრუქტურებს შორის;
- ✓ დაადგინონ, რა გავლენა მოახდინა ინგლისურმა პარლამენტმა ამ ქვეყნის სამომავლო განვითარების გეზზე;
- ✓ განსაზღვრონ, რა ბედი ეწია ევროპის კონტინენტზე არსებულ წოდებრივ-წარმომადგენლობით ორგანოებს და მათი ფორმალური ხასიათი იქცა თუ არა მნიშვნელოვანი კატაკლიზმების წინაპირობად;
- ✓ წერილობითი წყაროების საშუალებით შეისწავლონ და დაადგინონ, იყო თუ არა თამარის ეპოქის დროინდელ საქართველოში მეჭურჭლეთუხუცეს ყუთლუ-არსლანის მცდელობები მიმართული წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნისკენ.

ბ-ჯგუფის დავალებები:

- ✓ განსაზღვრონ თანამედროვე სახელმწიფოების პროგრესულობა-რეგრესულობის ძირითადი მაჩასიათებლები;
- ✓ დაადგინონ, რა სტრუქტურები ითვლება ქვეყანაში საზოგადოების აზრის გამომხატველად;
- ✓ იმსჯელონ, რამდენად საჭიროა, საკანონმდებლო ორგანო დაკომპლექტებული იყოს საზოგადოების ფართო ფენებით;
- ✓ იმსჯელონ, რა სახის მმართველობითი ფორმები მოითხოვა საზოგადოების ფართო ფენების ჩართულობამ საკანონმდებლო და, ზოგადად, წარმომადგენლობით სტრუქტურებში;
- ✓ იმსჯელონ, ისტორიული პერსპექტივიდან, არის თუ არა საზოგადოების ჩართულობა ქვეყნის მმართველობით სისტემაში ქვეყნის მშვიდობიანი და პროგრესული განვითარების გარანტი.

სასწავლო წელი -----

კურსი -----

თვითშეფასების ბარათი #

სტუდენტის სახელი: -----

პროექტის დასახელება: წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოებიდან თანამედროვე საკანონმდებლო სტრუქტურებამდე

დავალების/აქტივობის ხელმძღვანელი/ები:

დავალება შევასრულე:

ინდივიდუალურად

ჯგუფთან ერთად

ჯგუფის წევრები:

აღწერ აქტივობას და მივუთითებ, რა მიზნისთვის უნდა მიმეღწია:

აქტივობა/დავალება: -----

მიზანი: -----

ჩემი აზრით:

მიზანს მივაღწიე
ნაწილობრივ მივაღწიე
ვერ მივაღწიე

თავისუფლად, დაბრკოლებების გარეშე შევასრულე ეს აქტივობა
წავაწყდი სიძნელეებს:

სიძნელეები ვერ გადავლახე
გადავლახე ისინი შემდეგნაირად:

ფასდება: სტუდენტის მონაწილეობის ხარისხი; მიღებული პროდუქტი და აუდიტორიასთან

ურთიერთობის (პრეზენტაციის) ფორმატი.

ნიმუში 2.

თემატური ბლოკის შეჯამება პედაგოგს შეუძლია როლური თამაშის მეშვეობითაც. შეგვიძლია სტუდენტებს შევთავაზოთ საქართველოს ისტორიული ან თანამედროვე მმართველობითი ორგანოების (დარბაზი, სავაზირო, მთავრობის სხდომა, პარლამენტი/დარგობრივი საპარლამენტო კომიტეტი (მაგ. აგრარულ საკითხთა კომიტეტი და ა.შ.) მუშაობის ინსცენირება.

როლური თამაშისათვის წინასწარი მომზადებაა საჭირო: უნდა განაწილდეს როლები, მოსაფიქრებელი იქნება მოკლე სცენარი, სტუდენტებმა უნდა მოამზადონ წარმოსათქმელი სიტყვები, შესაძლოა ფიზიკური გარემოს (აუდიტორიის/საკლასო ოთახი) და სამოსის ეპოქის სულისკვეთებით გაწყობაც. მაგალითად, თუ თამარ მეფის ეპოქის სავაზიროს ან დარბაზის სხდომის ინსცენირებას ჩავატარებთ, სტუდენტებმა უნდა დაინაწილონ და გაითავისონ მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის, ამირსპასალარის, მეჭურჭლეთუხუცესის, მსახურთუხუცესის და სხვათა როლები, მოამზადონ მოხსენებები მათ საგამგებლო სფეროებში არსებული მდგომარეობის შესახებ. სტუდენტების პროფესიული არჩევანიდან (მეხილეობა/მეცხოველეობა) გამომდინარე საგანგებო აქცენტი შეიძლება გაკეთდეს მეჭურჭლეთუხუცესსა და მსახურთუხუცესზე, რომლებმაც უნდა მიმოიხილონ ეკონომიკური ვითარება, მათ შორის

სოფლის მეურნეობის დარგები. მსახურთუხუცესმა შეიძლება სხდომაზე დაისწროს თანაშემწეები – მეხილეთუხუცესი, მეღვინეთუხუცესი და სხვ., რომელნიც კონკრეტულად მეხილეობასა და მეცხოველეობაზე წარმოადგენენ ანგარიშს.

რასაკვირველია, როლური თამაშის შესაფასებლად საჭირო იქნება სათანადო რუბრიკის შემუშავებაც.

რუბრიკის ნიმუში:

როლური თამაშის შეფასების რუბრიკა	
შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა
შეესაბამება შესაჯამებელ თემას	
პროცესი ეყრდნობა წინასწარ შემუშავებულ სცენარს	
აქტივობის მსვლელობა წარმოადგენს მეფის მრჩევლების და უახლოესი წრის შეკრების იმიტაციას	
„შეკრების“ მონაწილეებს შორის წინასწარ არის განაწილებული როლები	
მონაწილეთა არგუმენტები და მოსაზრებებს მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებენ	
არგუმენტებად იყენებენ რეალურ ფაქტებსა და წყაროებს	
მონაწილეები თავის როლს პასუხისმგებლობითა და შემოქმედებითად უდგებიან	

ნიმუში 3.

თემის შეჯამება დისკუსიის ან დებატების ფორმატშიც არის შესაძლებელი

დისკუსიის შეფასების რუბრიკა	
შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა

სტუდენტი დისკუსიაში აქტიურად არის ჩართული	
მოყვანილი არგუმენტები შეესაბამება სადისკუსიო საკითხს	
ყურადღებით უსმენს სხვებს	
აცდის აზრის ბოლომდე გამოთქმას	
საწინააღმდეგო მოსაზრებებზე არ გამოხატავს აგრესიას	
არ იმეორებს სხვის აზრებსა და არგუმენტებს	
მოსაზრებებს მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს	

ნიმუში 4.

თემატური ბლოკის დასრულების შემდეგ სტუდენტების შეფასება შესაძლებელია **მრავალფეროვანი ტესტის** მეშვეობითაც. **ტესტის მინუში შეიქმნება იმის ბაზაზე, თუ რა კონკრეტული შინაარსობრივი მასალის გავლა შეძელით თემატური ერთეულის შიგნით.** მრავალფეროვანი ტესტი შედგება ერთმანეთისაგან განსხვავებული ტიპის ტესტური დავალებებისაგან და სტუდენტების სხვადასხვა უნარებსა და კომპეტენციებს ამოწმებს. ასეთ ტესტში შეიძლება შეგვიძლია შევიტანოთ შემდეგი ტიპის ტესტური დავალებები:

1. ისტორიული წყაროს/დოკუმენტის ანალიზი
2. სურათის/კარიკატურის/რუკის ანალიზი
3. დავალება, რომელიც მოითხოვს ტექსტში გამოტოვებული სიტყვების ჩასმას
4. დავალება, რომელიც მოითხოვს ტესტში დაშვებული შეცდომების პოვნასა და გასწორებას
5. ღია კითხვები
6. დახურული, არჩევითბოლოიანი კითხვები (მაგალითები) და სხვ.

ნიმუში 5.

თემატური ბლოკის დასრულების შემდეგ სტუდენტების შეფასება შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის წერილობითი ნამუშევრის (ესსე, რეფერატი, თემა...) მეშვეობითაც. ამ ტიპის შემაჯამებელი კარგ საშუალებას მოგვცემთ ზოგადი მოდულის („მოქალაქეობა“) ფარგლებში მიღებული უნარებისა და ცოდნა მოარგოთ პროფესიული დარგის ამოცანებს და საჭიროებებსაც, მაშინ როცა თემატური ბლოკი ამის საშუალებას იძლევა.

დაწერეთ თემა: რეფორმების როლი მმართველობის ტრანსფორმაციაში – ბატონყმობის გაუქმება და ადგილობრივი თვითმმართველობის შემოღება საქართველოში.

ა) ჩამოაყალიბეთ კვლევის ძირითადი იდეა, თეზისი;

ბ) დაიცავით რეფერატის სტრუქტურა (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა) და თემას დაურთეთ გამოყენებულ ლიტერატურის ნუსხა;

გ) სათანადო ფაქტობრივი მასალა დაამუშავეთ იმგვარად, რომ საშუალება მოგვცეთ იმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:

- რამ განაპირობა რუსეთის იმპერიაში რეფორმების აუცილებლობა;
- რატომ ვერ აიცილა თვითპყრობელურმა რეჟიმმა ბურჟუაზიული რეფორმები;
- რატომ აღმოჩნდა თვითმმართველობის შემოღება მნიშვნელოვანი გუბერნიებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის;
- რატომ გახდა თვითმმართველობები გუბერნიებში რუსეთის იმპერიის დამორჩილებული ხალხებისთვის თვითგამორკვევისა და ეროვნული დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის წინაპირობა.

დ) მსჯელობისას განიხილეთ განსხვავებული პოზიციები, შეაჯერეთ ისინი, ჩამოაყალიბეთ თქვენი პოზიცია და დაასაბუთეთ იგი;

ე) რეფერატის სრულყოფილად დასამუშავებლად გაეცანით და დაამუშავეთ საკითხის შესახებ არსებული პირველადი და მეორადი წყაროები.

რეფერატის შეფასების რუბრიკა	
შეფასების კრიტერიუმები	კრიტერიუმის წონა
1. მიზანი/თეზისი – კვლევის ძირითადი იდეის ჩამოყალიბება	
2. რეფერატის ორგანიზება (რეფერატის სტრუქტურა-შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნები) და გამოყენებული რესურსი, რის ბაზაზეც შეიქმნა რეფერატი	
3. შინაარსის კორექტულობა, ფაქტობრივი საიმედოობა	
4. ენობრივი გამართულობა	
5. კვლევა (წყაროების ურთიერთშეჯერებისა და შეპირისპირების საფუძველზე საკუთარი ვარაუდების შემუშავება)	
6. ილუსტრაციები/ თვალსაჩინოებები	
7. შეთავაზებული მოსაზრების არგუმენტებითა და მაგალითებით გამყარება	
8. დასკვნები	

განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება:

სწავლა-სწავლების ფორმატში საზოგადოებრივი მეცნიერებების (ჩვენს შემთხვევაში, მოდულის „მოქალაქეობა“) სწავლების პროცესში რეკომენდებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების გამოყენება.

ა) განმსაზღვრელი შეფასება აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს მოდულის სტანდარტულ წანაწერებში განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში. პროფესიული სასწავლებლებისთვის აპრობირებულია განსაზღვრელ შეფასებად ჩათვლის პრინციპის გამოყენება ნაცვლად ნიშნებით (სკოლაში – 1-10-მდე) ან დონეების (უნივერსიტეტში - A, B, C, D, F) გამოყენებისა.

განმსაზღვრელ შეფასებაში ქულები ქვემოთ მოცემული სქემატური ნორმის შესაბამისად იწერება. თქვენ შეგიძლიათ თავად განსაზღვროთ, კონკრეტული დავალების შესაბამისად დაწეროთ ქულა, ოღონდ განსაზღვროთ რომელი ქულა იქნება მინიმალური, რაც ჩაეთვლება გარკვეული მიღწევის დადასტურებად.

ბ) განმავითარებელი შეფასება აკონტროლებს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორიცაა სიტყვიერი კომენტარი, რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა და სხვ.

განმავითარებელი შეფასების სქემატური აღწერილობა:

მიზანი	სწავლის ხარისხის გაუმჯობესება; მოსწავლის განვითარების ხელშეწყობა.
შეფასების საგანი	სწავლის პროცესი

შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება	წინსვლის ხელშესაწყობად განსხვავებული აქტივობის შერჩევა, სწავლების სტრატეგიის შეცვლა, რჩევა-დარიგების მიცემა და სხვ.
წარმართების კრიტერიუმების განსაზღვრა	კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე (საკუთარ მიღწევებთან მიმართებით – რა დონეს ფლობდა, რა დონეს ფლობს)
შეფასების საშუალებები	თვით/ურთიერთშეფასების რუბრიკა; კითხვარი; სიტყვიერი (ზეპირი/წერილობითი) კომენტარი; უნარის განვითარების დონის აღწერა.

მოდულის სტანდარტულ ჩანაწერში აღწერილი კომპეტენციები, მოიცავს სამი კატეგორიის ცოდნას: ა) დეკლარატიულ ანუ სტატიკური ხასიათის ცოდნას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ცოდნის პროცედურულად გამოყენებას; მოსწავლის ცოდნა დეკლარატიულია, თუ მან იცის კონკრეტული ოპერაციის წარმოების წესი, თუმცა ვერ იყენებს მას; ბ) პროცედურულ ანუ დინამიკურ ცოდნას, რომელიც ცოდნის გამოყენების, რეალიზების საშუალებას იძლევა; მოსწავლის ცოდნა პროცედურულია, თუ ის ასრულებს ოპერაციას. პროცედურული ათვისება მრავალჯერადი გავარჯიშების გზით ხდება და გ) პირობისეულ ანუ ფუნქციურ ცოდნას, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას. მოსწავლის ცოდნა პირობისეულია, თუ მას შეუძლია დასმული ამოცანის ამოსახსნელად შეარჩიოს სათანადო ოპერაცია. პედაგოგის მიზანი მოსწავლის მესამე კატეგორიის ცოდნამდე მიყვანაა, ამიტომ განმავითარებელი შეფასება, რომელიც მოსწავლის პროგრესს ძალიან კარგად აჩვენებს თავის თავთან მიმართებაში, ჯეროვნად უნდა იყოს ყურადღებამიქცეული და პედაგოგების მიერ ადეკვატურად გამოყენებული.

თავი 3. კონფლიქტი და მისი მოგვარების გზები

თემატური ბლოკებიდან მეორე ეტაპზე წარმოდგენილია „კონფლიქტი და მისი მოგვარების გზები“, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავშალოთ კონფლიქტის სხვადასხვა ტიპები, მათი გამომწვევი მიზეზები და შედეგები თანამედროვეობასა და ისტორიულ წარსულში; ასევე, წარმოვაჩინოთ კონფლიქტების მოგვარების ალტერნატიული გზები თუ პრევენციის მეთოდები. ამ თავის მიზანია, სტუდენტებს დავანახოთ ლოკალური და გლობალური კონფლიქტების არსებობის შემთხვევებში მათგან მომდინარე ის შედეგები, რომელიც შეიძლება იყოს მძიმე, და რიგ შემთხვევებში კატასტროფულიც კი, პიროვნების, საზოგადოების, ქვეყნისა და მთლიანად მსოფლიოსთვის. პედაგოგის ამოცანაა, დაეხმაროს თითოეულ სტუდენტს იმის გააზრებაში, რომ კონფლიქტების თავიდან აცილება ან მშვიდობიანი, არაძალადობრივი გზით მოგვარება აუცილებელია ქვეყნის დემოკრატიული განვითარების უზრუნველსაყოფად.

გზამკვლევის მეორე თავში „კონფლიქტი და მისი მოგვარების გზები“ სარეკომენდაციო შინაარსობრივი საკითხები დავაჯგუფეთ უკვე ზემოთ აპრობირებული პრინციპის შესაბამისად. ანუ იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს როგორც თემატურ სათაურს, ასევე ოთხივე სწავლის შედეგს. ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელიც ნათლად

აჩვენებს შინაარსისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის პრინციპს, ანუ რა უნდა ვასწავლოთ სტუდენტებს თემატური ბლოკის ფარგლებში, რომ ყველა შედეგი დამუშავდეს (ცხადია, ცალკეული შესრულების კრიტერიუმების დონეზე).

კონფლიქტი და მისი მოგვარების გზები		
სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები	სარეკომენდაციო საკითხები, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას თემატური ერთეულის დასამუშავებლად
1. საკუთარი და სხვა ადამიანების უფლება-მოვალეობების გაცნობიერება და დაცვა; ამ უფლებების განვითარების ისტორიული საფუძვლების გააზრება.	• სხვადასხვა ეპოქასა და სოციუმში ადამიანის ღირსების საერთო მახასიათებლებს გამოყოფა; • სხვადასხვა ეპოქაში კანონისა და ადამიანის უფლებების დაცვის საშუალებების ერთმანეთთან შედარება; • სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ტიპის დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების ერთმანეთთან დაკავშირება, მათი შემცირების გზების შესახებ მსჯელობა; • ადამიანის პიროვნული და საზოგადოებრივ ინტერესების ერთმანეთთან შედარება; • უმცირესობებსა და მოწყვლად ჯგუფებთან საზოგადოების ურთიერთობის თავისებურებებისა და მათი დახმარების შესაძლებლობების განსაზღვრა;	• პიროვნული და ზოგადადამიანური ღირსების არსი • პრევენციის არსი • ადამიანის უფლებების დამცველი სახელმწიფო სტრუქტურები (სახალხო დამცველი, სასამართლო და სამართალდამცავი უწყებები) და არასამთავრობო ორგანიზაციები; • ადამიანის

	• ამა თუ იმ ეპოქის საზოგადოებაში სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლებისა და მათ უფლება-მოვალეობების შედარება; ადამიანის უფლებების განვითარების ისტორიული საფუძვლების კვლევა.	უფლებათა განმსაზღვრელი დოკუმენტები (თავისუფლებათა დიდი ქარტია, საქართველოს პირველი რესპუბლიკისა და თანამედროვე კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფ-
--	--	--

2. დემოკრატიის პრინციპების ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება, მათი ჩამოყალიბების ისტორიული საფუძვლების გაცნობიერება.	• პირდაპირი დემოკრატიის განხორციელების ფორმებში მონაწილეობის, როგორც მოქალაქის უფლება-მოვალეობის, მნიშვნელობის დასაბუთება; • სხვადასხვა ეპოქაში ინფორმაციის მოპოვების და საჯაროობის უზრუნველყოფის გზების შედარება; პროცედურების დაცვით მისთვის სასურველი/საინტერესო საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა; • წარსულსა და თანამედროვეობაში, სახელმწიფო მმართველობაში საზოგადოების ზეგავლენით მომხდარი ცვლილებების შედეგების დემოკრატიის მშენებლობაში წინსვლასთან/უკუხვლასთან დაკავშირება; • სხვადასხვა ეპოქაში ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზების ერთმანეთთან შედარება; • ამა თუ იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი მმართველობის ფორმებისა და პოლიტიკურ რეჟიმების მახასიათებლების შედარება; • კულტურული, ეთნიკური, რელიგიური მრავალფეროვნების საზოგადოების/სახელმწიფოს განვითარებასთან დაკავშირება; • ძლიერი თვითმმართველობის სახელმწიფოს განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირება.	ლებათა ევროპული კონვენცია) • თანამედროვეობა და საქართველო; • საქართველო და საერთაშორისო თანამეგობრობა. • საქართველო საბჭოთა ეპოქაში; • ეროვნული მოძრაობა საქართველოში მე-20 საუკუნის 20-70-იან წლებში. • პირველი მსოფლიო ომი და პარიზის კონფერენცია ; • 1905-1917 წწ. რევოლუციების შედეგები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მიმართულებით რუსეთის
---	--	--

3. სამოქალაქო აქტივობებში საკუთარი ჩართულობის მნიშვნელობის გაცნობიერება; ისტორიულად არსებული და თანამედროვე მონაწილეობის ფორმების ერთმანეთთან შედარება.	• ისტორიულ/ თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებში ადამიანთა მონაწილეობის მოტივაციაზე მსჯელობა; • სხვადასხვა ეპოქის საზოგადოებრივ/ პოლიტიკურ პრობლემების ამოცნობა და მათი მოგვარების შესაძლო გზების დასახვა დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებით; • სამოქალაქო საზოგადოებაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და მასმედიის როლის კვლევა; • მმართველობით სტრუქტურებისა და პოლიტიკური რეჟიმების ცვლილებების მიზეზების გამოკვეთა; • წარსულსა და თანამედროვეობაში რელიგიის, როგორც ადამიანის იდენტობის ერთ-ერთი საშუალების მნიშვნელობების შედარება; • სხვადასხვა ეპოქაში საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთობების შედარება და კულტურული ცხოვრების განვითარებასთან დაკავშირება.	იმპერიაში შემავალი ხალხებისთვის; • თერგდალეულთა ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ; • საქართველო და გეორგიევსკის ტრაქტატი; • საფრანგეთის დიდი რევოლუციის როლი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მოპოვების კუთხით მსოფლიოში; • ინგლისის რევოლუცია/სამოქალაქო
--	---	--

4. საკუთარი გადაწყვეტილებების/ შეხედულებების ისტორიული წყაროების/ უმთავრესი სამართლებრივი დოკუმენტების (მაგალითად, საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია) საფუძველზე დასაბუთება; ამ დოკუმენტების ჩამოყალიბების ისტორიული საფუძვლების გააზრება.	• ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური ან სხვა ტიპის წყაროების გამოყენებით სხვადასხვა ეპოქის სოციალურ სტრუქტურების შედარება; • დემოკრატიული სახელმწიფოსთვის სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობის დასაბუთება; • კონკრეტულ ეპოქაში ქართული სახელმწიფოს მიმართ სხვადასხვა სახელმწიფოს ინტერესების კვლევა; • კონკრეტული მოღვაწის მიერ არჩეული საშინაო/საგარეო პოლიტიკური კურსის შედეგების შეფასება; • წყაროებზე დაყრდნობით მსოფლიოში განვითარებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის/ პროცესის საქართველოზე მოხდენილ ნეგატიურ ან პო-ზიტიურ გავლენასთან დაკავშირება; • რომელიმე სახელმწიფოს (მათ შორის, საქართველოს) მაგალითზე ამა თუ იმ ეპოქაში მისი გაერთიანებისა თუ დაშლის განმაპირობებელი საშინაო და საგარეო ფაქტორების დაჯგუფება; • ისტორიული მოვლენის შესახებ არსებული სხვადასხვა საისტორიო წყაროების/მონაცემების შედარების საფუძველზე იმ ფაქტორების გაანალიზება, რამაც განაპირობა ამ მოვლენის განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობა; • ტერიტორიული და გეოპოლიტიკური ფაქტორების სახელმწიფოს წარმოქმნა-	ომი; • სეფიან-ოსმალთა დაპირისპირება და საქართველო; • ბიზანტიის დაცემის მნიშ-ვნელობა ევროპისა და საქართველოსთვის; • თურქ-სელჩუკები, ჯვაროსნები და საქართველო; • ბიზანტია-ირანის (VI-VII სს.) დაპირისპირება და საქართველო; • არაბები და საქართველო; • რომის ექსპანსიონისტური პოლიტიკა მახლობელ აღმოსავლეთში და საქართველო; • ქართული სახელმწიფოები და ელინისტური სამყარო;
---	---	--

	განვითარებასთან დაკავშირება; სხვადასხვა ისტორიული ეპოქისთვის/საზოგადოების დამახასიათებელი მსოფლმხედველობების შედარება.	• ძველი აღმოსავლეთი და საქართველო; • ბერძენ-სპარსელთა ომები.
--	--	---

ამ სქემიდან გამომდინარე, გზამკვლევში აქტივობები იმგვარად არის მოწოდებული, რომ მოახდინოს მოსწავლის პროვოცირება, სტუდენტი დააინტერესოს თემით. ინტერაქტიული სწავლების მეთოდების გზით მუდმივად ვინარჩუნებთ თანამედროვეობისა და წარსულის კავშირს.

როგორც წესი, ერთი თემატური ერთეულის შიგნით ყველა სასწავლო შედეგის ცალკეული შესრულების კრიტერიუმები მუშავდება (იხ. ცხრილის პირველი სვეტი). მეორე სვეტში დაჯგუფებულია ამ შედეგების ის კონკრეტული შესრულების კრუტერიუმები, რომლებიც უშუალო კავშირშია თემატურ ბლოკთან. მესამე სვეტში წარმოდგენილია თემატურ ბლოკში შემავალი სარეკომენდაციო საკითხები, რომელიც შეიძლება დაჯგუფდეს ან გამოყენებულ იქნას კონკრეტული თემატური ერთეულის ფარგლებში. აქვე გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ყველა საკითხის ათვისება არაა აუცილებელი წინაპირობა პედაგოგისა და სტუდენტისთვის კრედიტის მისაღწევად. რეკომენდებული საკითხები (მით უფრო ისტორიული) „ქეისებად“ უნდა იყოს გამოყენებული და თუ ტიპოლოგიურად მსგავსი „ქეისები“ საკითხთა ჩამონთვალში რამოდენიმეა, პედაგოგს შეუძლია აწმყოსა და წარსულის

დაკავშირება მისთვის სასურველი მაგალითით მოახდინოს. ამ ეტაპზე ჩვენ წარმოვადგენთ აქტივობების „ბანკს“, რომელიც სხვადასხვა ტიპის კონფლიქტს ასახავს პერსონალურ, საზოგადოებრივ, სახელმწიფოთაშორის დონეზე, როგორც აწმყოში, ისევე წარსულში.

მოდულის სწავლების დროს მთავარი უნდა იყოს კონტექსტის ფლობა და ამ თვალსაზრისით არა მაგალითების სიმრავლე, არამედ მოდულში (ამ შემთხვევაში „მოქალაქეობა“) და კონკრეტულად, თემატურ ერთეულში (ამ შემთხვევაში: „კონფლიქტი და მისი მოგვარების გზები“) საორიენტაციოდ და მისი შინაარსის ადეკვატურად აღქმისთვის აუცილებელი ლექსიკური ერთეულების (საკვანძო ცნებების) დამუშავება და ცოდნა. **კონკრეტული თემატური ერთეულისთვის აუცილებელი ცნებები მოყვანილია ჩარჩოში:**

საკვანძო ცნებები:

კონფლიქტის ტიპები, თანამშრომლობა, კონსენსუსი, დათმობა, მედიაცია, ომი, სამოქალაქო ომი, ძალადობა (ბულინგი, ფიზიკური ძალადობა...), რევოლუცია, მოლაპარაკება, ზავი, სამშვიდობო ხელშეკრულება, ჟენევის კონვენცია, გაერო, ნატო, ადამიანის უფლებათა დეკლარაცია.

ჩვენს მიერ მოყვანილი თემატური ცნებები როგორც ვიცით, მთლიანდება დიდი კონცეპტუალური, სამიზნე ცნებების ქოლგის ქვეშ, მაგალითად:

კონფლიქტი -----კონფლიქტის ტიპები ----- ომი, სამოქალაქო ომი, ძალადობა (ბულინგი, ფიზიკური ძალადობა)

სამოქალაქო მონაწილეობა ----- მედიაცია ----- თანამშრომლობა, კონსენსუსი, დათმობა, მოლაპარაკება

ისტორიული მოვლენა-პროცესი ----- რევოლუცია, ომი, ზავი, სამშვიდობო მოლაპარაკება, ჟენევის კონვენცია, გაერო, ნატო

დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები ----- ადამიანის უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები -----
პირადი უფლებები, პოლიტიკური უფლებები----ადამიანის უფლებათა დეკლარაცია

დემოკრატია, დემოკრატიის პრინციპები -----სამართლებრივი დოკუმენტები -----საერთაშორისო
სამართლებრივი დოკუმენტები----- ადამიანის უფლებათა დეკლარაცია.

მოდულის ჰოლისტიკური (მთლიანობითი) აღქმისთვის ასევე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ისეთი შეკითხვების შემოთავაზება, რომლებზე გაცემული პასუხებით გასაგები უნდა გახდეს, თემატურ ერთეულის მეშვეობით ივითარებს თუ არა მოდულისთვის აუცილებელ სტუდენტი. მთელი თემატური ერთეულის სწავლება იმგვარად უნდა მიმდინარეობდეს, რომ საბოლოოდ სტუდენტებს ამ ტიპის შეკითხვებზე პასუხი არ გაუჭირდეთ. ეს შეკითხვები არ არის საგაკვეთილო პროცესის შეკითხვები, მაგრამ როდესაც გაივლით მთელს თემატურ ერთეულს, საბოლოო ეტაპზე, მან უნდა შეძლოს ადეკვატური რეფლექსიის მოხდენა.

საკვანძო შეკითხვები:

- ✓ რატომ არ უნდა მივმართოთ ძალადობას კონფლიქტების (პიროვნული, საზოგადოებრივი....) მოსაგვარებლად?
- ✓ რატომ არის ბულინგი ანტისოციალური ქმედება და როგორ შემიძლია შევეწინააღმდეგო მას?
- ✓ რატომ გვჭირდება ისტორიული წარსულის ცოდნა რომ თავიდან ავიცილოთ ომები თანამედროვეობაში?
- ✓ რატომ იყო და არის არსებითი სოციალურ დაკვეთაზე ორიენტირებული სახელმწიფოებრივი ქმედებების გატარება ქვეყნის შიგნით მკვეთრი კატაკლიზმების თავიდან ასარიდებლად?

- ✓ როგორ ხდებოდა და ხდება კონფლიქტის პრევენცია წარსულსა და თანამედროვეობაში?/ როგორ გადავჭრათ კონფლიქტი მშვიდობიანად?
- ✓ რა გავლენას ახდენდა და ახდენს სტერეოტიპები კონფლიქტების წარმოშობაზე წარსულსა და აწმყოში?
- ✓ რა ალტერნატიული მექანიზმებით შეიძლება სხვადასხვა ტიპის კონფლიქტების მოგვარება?
- ✓ რატომ არის უკიდურესი სიღარიბე და ფუნდამენტალიზმი გამოწვევა მშვიდობიანი განვითარებისთვის (ლოკალურ და გლობალურ დონეზე)?

„მოქალაქეობა” ისტორიული მაგალითების მოშველიებით თანამედროვე მსოფლიოსათვის აქტუალური მრავალი პრობლემის სწავლებას გულისხმობს; სწორედ მათი ცოდნა განაპირობებს ახალგაზრდის ჩამოყალიბებას კარგად ინფორმირებულ, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, ღირებულებებზე ორიენტირებულ მოქალაქედ, რომელიც, ამ შემთხვევაში, შეიძენს უნარებს და ცოდნას თანამედროვეობის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევაზე – სხვადასხვა კონფლიქტზე შესაბამისი რეაგირება მოახდინოს; წარსულის გათვალისწინებით გარკვეული პრევენციების შესაძლებლობებზე დაფიქრდეს, გათვალისწინებული ექნება რა პიროვნულ, საზოგადოებრივ თუ გლობალურ დონეზე კონფლიქტის შედეგების რაობა.

ამ თემატური ბლოკის ფარგლებში ჩატარებული გაკვეთილები მიზნად უნდა ისახავდეს იმას, რომ სტუდენტებს ხელი შევუწყოთ, გაიაზრონ:

- ✓ პერსონალური თუ სოციალურ მიმდინარე კონფლიქტების მოგვარების გზა პიროვნული განვითარების დონე, მაღალი სამართლებრივი კულტურა და ადექვატური პრევენციული მოქმედება;

- ✓ სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების მოგვარება რთულია და თანამედროვე სამყაროში არსებობს საერთაშორისო მექანიზმები მათთან გასამკლავებლად;
- ✓ საზოგადოებრივი სიკეთეებზე წვდომის არარსებობა იწვევს კონფლიქტურ სიტუაციას ადამიანებში და საზოგადოების შიგნით გაუცხოებას;
- ✓ ისტორია შეიძლება კარგი მაგალითი იყოს, რა შედეგები მოჰქონდა კონფლიქტებს/ომებს რელიგიური, სოციალური თუ პოლიტიკური დაპირისპირების თავიდან ვერ/არაცილების შემთხვევაში;
- ✓ თანამედროვე სამყაროში გლობალური (მსოფლიო მასშტაბის) კონფლიქტი დაუშვებელია, რადგან ეს თანამედროვე ცივილიზაციის აბსოლუტურ კრახს გამოიწვევს;
- ✓ კონფლიქტური სიტუაციების თავიდან აცილებაზე სახელმწიფოს შიგნით პასუხიმგებელი არიან სახელმწიფო სტრუქტურებიცა და, გარკვეულწილად, სამოქალაქო საზოგადოებაც;
- ✓ სტერეოტიპები (გენდერული; გარეგნობასთან, პიროვნულ უნარებთან, ფიზიკურ უნარებთან დაკავშირებული, ეთნიკურ კუთვნილებასთან, რელიგიური კუთვნილებასთან დაკავშირებული) უხვად შობს პერსონალურ თუ საზოგადოებრივ პრობლემებს და მათი თავიდან აცილების საუკეთესო საშუალება განათლება და მედიაა;
- ✓ რა დონეზე შეიძლება კონფლიქტის მოგვარებაში ჩარევა, რა მექანიზმები არსებობს რიგითი მოქალაქისთვის და რა ცდება მისი უფლებამოსილების საზღვრებს.

ტიპური გაკვეთილების ნიმუშები

გთავაზობთ დისციპლინების (ისტორია და სამოქალაქო განათლება) ინტეგრაციის ფორმატში მომზადებულ რამოდენიმე სანიმუშო, ტიპურ გაკვეთილს იმ სქემით, რა სახითაც პედაგოგებმა შემდგომში თავადაც უნდა შეძლონ „მოქალაქეობის“ გაკვეთილების დაგეგმვა და აწმყოში მიმდინარე მოვლენებისა და წარსულის მაგალითების სათანადო სინთეზირება. ასევე გთავაზობთ, ორივე დისციპლინის ფორმატში სამუშაო, რიგი ტიპური აქტივობების ნიმუშებს, რომელთა მოშველიება სხვადასხვა ტიპის კონფლიქტების შესასწავლად გამოდგება და „მოქალაქეობის“ მოდულის ინტეგრაციულ ბუნებაზეა მორგებული.

გაკვეთილის თემა: კონფლიქტის ტიპები და მათი პრევენცია

სწავლის შედეგები და კრიტერიუმები დ	გაკვეთილის პირობები და მსვლელობა	
1. საკუთარი და სხვა ადამიანების უფლება-მოვალეობების გაცნობიერება და დაცვა; ამ უფლებების განვითარების ისტორიული საფუძვლების გააზრება. • სხვადასხვა ეპოქასა და სოციუმში ადამიანის ღირსების საერთო	მიზანი/ მიზნები	სტუდენტებს ხელი შევუწყოთ, გაიაზრონ: ✓ კონფლიქტების მრავალსახეობის გამომწვევი მიზეზები, ასევე, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზების ძიების აუცილებლობა; ✓ ისტორიული პერსპექტივიდან ამ არჩევანის სისწორე, ასევე, საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების მოუგვარებლობის ან ძალადობრივი მოგვარების დამანგრეველი შედეგები კაცობრიობისთვის. ✓ სამართლებრივი მექანიზმების აუცილებლობისა და კონსენსუსის საჭიროება.
	რესურსები	გამომცემლობა „დიოგენეს“ მე-11 კლასის ისტორიის

მახასიათებლებს გამოყოფა; • სხვადასხვა ეპოქაში კანონისა და ადამიანის უფლებების დაცვის საშუალებების ერთმანეთთან შედარება;		სახელმძღვანელო (გვ. 238-240, 373-377); გამომცემლობა „დიოგენეს“ მე-12 კლასის ისტორიის სახელმძღვანელო (გვ. 241-244, 250-252); „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისა“ (გვ. 84-86) და „საქართველოს მაცნეს“ მე-10 კლასის სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოები (გვ. 104); ინტერნეტ-რესურსები: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2e-4---4---0-11--11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&cl=CL4.2&d=HASH473087b171f34317cbf26b.5.4.1&gt=1)
• ადამიანის უფლებების განვითარების ისტორიული საფუძვლების კვლევა. 2. დემოკრატიის პრინციპების ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება, მათი ჩამოყალიბების ისტორიული საფუძვლების	გაკვეთილის ფაზები	დაფაზე გაფანტულად ვწერთ ტერმინებს: თანამშრომლობა, კონსესუსი, დათმობა, კონკურენცია, მედიაცია, ომი, სამოქალაქო ომი, ძალადობა (ბულინგი, ფიზიკური ძალადობა....) რევოლუცია, მოლაპარაკებები, ზავი, სამშვიდობო ხელშეკრულება, სტერეოტიპი და მივმართავთ გონებრივ იერიშს შეკითხვით: – თქვენი აზრით, რის შესწავლას და გაანალიზებას უნდა მიეძღვნას ჩვენი გაკვეთილი? სტუდენტთა პასუხებს, როგორც შეცდომით დასახელებულს, ასევე სწორ ვარიანტებს დაფაზე ვინიშნავთ. ჩვენი დახმარებით ისინი მიდიან იმ დასკვნამდე, რომ კონფლიქტის ირგვლივ უნდა ჩატარდეს გაკვეთილი. შემდეგ ვუსვამთ შეკითხვას სტუდენტებს: – რა ტიპის კონფლიქტების შესახებ სმენიათ ან უნახავთ თავის

გაცნობიერება. • წარსულსა და თანამედროვეობაში, სახელმწიფო მმართველობაში საზოგადოების ზეგავლენით მომხდარი ცვლილებების შედეგების დემოკრატიის მშენებლობაში წინსვლასთან / უკუსვლასთან დაკავშირება; 3. სამოქალაქო აქტივობებში საკუთარი ჩართულობის მნიშვნელობის გაცნობიერება; ისტორიულად არსებული და თანამედროვე მონაწილეობის		გარშემო ან თანამედროვეებაში? პასუხები იქნება სხვადასხვაგვარი, ზოგი იტყვის ოჯახურ კონფლიქტს, ზოგი გენდერულს, ზოგი ორ პირს შორის ამა თუ იმ თემაზე, ზოგი მდიდრებსა და ღარიბებს შორის კონფლიქტს გაუსვამს ხაზს, ზოგი მთავრობასა და მოსახლეობას შორის დაპირისპირებას მოიყვანს მაგალითად, ზოგიც - ლოკალურ და მსოფლიო ომებსაც შეეხება. ბუნებრივია, იქნება არასწორი ვერსიებიც. შეეცადეთ, სტუდენტებმა სცადონ კონფლიქტის ტიპოლოგიცაზია. ვერსიები, რომლებიც მათ ექნებათ, დაფაზე ჩამოწერეთ. შემდეგ სთხოვეთ წაიკითხონ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ სამოქალაქო განათლების მე-10 კლასის სახელმძღვანელოს გვ. 86-ის სქემის მარცხენა სვეტი და „საქართველოს მაცნეს“ სამოქალაქო განათლების წიგნის გვ.104-ის ნაწილი, სადაც კონფლიქტის ტიპებზეა საუბარი. ჰკითხეთ სტუდენტებს რა ნიშნებითაა დაჯგუფებული ეს ორი სქემა და ეწინააღმდეგება თუ რა ერთმანეთს? (ერთი ხაზს უსვამს იმას, ვისთან წინააღმდეგობა შეიძლება იყოს კონფლიქტი, ხოლო მეორე, რის ირგვლივ წინააღმდეგობა შობს მას). შეიძლება თუ არა მათი შეჯერება და ა.შ. შემდგომ კლასთან ერთად შეიმუშავეთ ყველაზე აქტუალური კონფლიქტების სია, რომლებიც მათ ან საკუთარი თემის, ან საკუთარი ქვეყნის და თანამედროვეობიდან სმენიათ და სთხოვეთ თითოეული დაახასიათონ კლასიფიკაციის მათთვის უკვე ნაცნობი ორივე მოდელით (ვის შორის კონფლიქტზე საუბარი და რის ირგვლივ კონფლიქტზეა საუბარი).
--	--	--

ფორმების ერთმანეთთან შედარება. • ისტორიულ/თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებში ადამიანთა მონაწილეობის მოტივაციაზე მსჯელობა; • სხვადასხვა ეპოქის საზოგადოებრივ/პოლიტიკურ პრობლემების ამოცნობა და მათი მოგვარების შესაძლო გზების დასახვა დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებით	ამის შემდეგ დაყავით კლასი 4 ჯგუფად/ადამიანად და მიეცით ბარათებზე ჩამოწერილი ოთხი ვარიანტი : 1. <i>სოციალური გარემო, რომელშიც კანონები მოქმედებს;</i> 2. <i>ღირებულებათა სისტემა, რომელიც საზოგადოების მიერ თავისი კანონების პატივისცემაზეა დამყარებული;</i> 3. <i>„ბარბაროსობისა“ და ტოტალიტარიზმის საპირისპირო ცნება;</i> 4. <i>აზროვნების ფორმა.</i> დაფაზე ხაზავთ ასოციაციურ რუკას - წრეს ოთხი „სხივით“, რომლის სხივებსაც სტუდენტებისთვის დარიგებული წინადადებები წერია და სვამთ ერთი ფრონტალურ(ყველასადმი მიმართულ) შეკითხვას - რა სიტყვა/სიტყვები აერთიანებთ ამ ვარიანტებს, რაზეა საუბარი? გამოთქმული ვერსიებიდან ისინი მიდიან (თუ საჭიროა წახმარება ფორმულირებისთვის, მიეხმარებით) დასკვნამდე, რომ ეს ტერმინი, რომელიც ასოციაციური რუკის შუაგულში უნდა ჩაიწეროს არის - <u>სამართლებრივი კულტურა.</u> შემდეგ, სტუდენტებს სთხოვეთ წაიკითხონ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ სამოქალაქო წიგნიდან გვ. 86-ზე დატანილი ცხრილის მარჯვენა სვეტი და გვ. 84-85-ზე მოცემული პარაგრაფი 50. წაკითხვის მერე გამართეთ დისკუსია თემაზე – რატომ არის თანამშრომლობითი მოდელი კონფლიქტის მოგვარების საუკეთესო გზა და მაღალი სამართლებრივი კულტურის მანიშნებელი? ეცადეთ, სტუდენტები მაქსიმალურად ჩაებან და წინარე ცოდნაც (ცხოვრებაში ნანახი, მოსმენილი, გაგონილი) გამოიყენონ და წაკითხულს დაუკავშირონ.
--	--

		სტუდენტებს მინი-ლექციის მეშვეობით შეიძლება აუხსნათ, რომ ამა თუ იმ საზოგადოებაში სამართლებრივი კულტურის გაჩენა ხანგძლივი პროცესია და ისინი სამართლებრივი დოკუმენტებით გამყარებასაც საჭიროებს; რომ ის კარგი გზაა პრევენციისთვის როგორც ქვეყნის შიგნით მიმდინარე, ისე ქვეყნებს შორის მიმდინარე კონფლიქტების პრევენციისთვის. შემდეგ სტუდენტებს დაყოფთ სამ ჯგუფად <i>(თუ მოდულზე მცირე რაოდენობის სტუდენტები არიან, შეგიძლიათ სამ კაცს გადაუნაწილოთ იგივე)</i> - ერთს მისცემთ დიოგენეს გამოცემის მე-11 კლასის ისტორიის წიგნიდან 78-ე პარაგრაფს წასაკითხად, მეორე ჯგუფს/ადამიანს - ამავე წიგნიდან 52-ე პარაგრაფს წასაკითხად და მესამე ჯგუფს - ამავე გამომცემლობის მე-12 კლასის სახელმძღვანელოდან 48-ე პარაგრაფს. სამივე ჯგუფს დაავალეთ, რომ განსაკუთრებული ყურადღება სწორედ დოკუმენტებზე გაამახვილონ. თითოეულ ჯგუფს დაევალება, რომ დანარჩენ ორს აუხსნას კონტექსტი, რა გარემოებებმა განაპირობა ამ კონკრეტული სამართლებრივი დოკუმენტის მიღება. სამი სხვადასხვა „ქეისი“ [მაგალითი] კარგად უნდა დამუშავდეს – მსჯელობა იმ მიმართულებით წარიმართოს, რომ ომის, (მით უფრო, თუ მსოფლიო ომზე - ყველაზე კომპლექსური კონფლიქტის ტიპზეა საუბარი) შემაკავებელ ბერკეტად, ესა თუ ის საერთაშორისო ორგანიზაცია ან საერთაშორისო დოკუმენტი ვერ გამოდგება ხოლმე. ამის მიუხედავად, ხალხებისა და ქვეყნების სამართლებრივი კულტურა და საერთო შეთანხმება,
--	--	--

		გამოხატული სამართლებრივ დოკუმენტებში – არის კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ყველაზე ჰუმანური გზა. შეჯამებისთვის – ამავე წიგნის 50-ე პარაგრაფი ყველამ წაიკითხოს და იმსჯელოს დღევანდელი რეაქციების გათვალისწინებით.
	გაკვეთილის ხანგრძლივობა	4-6 საათი
	შეფასება	ვინაიდან მოდულური სწავლება არ გულისხმობს არამცთუ ცალკეულ გაკვეთილებზე, არამედ, კურსის ბოლოსაც კი განმსაზღვრელი შეფასების ქულობრივ გამოყენებას და ფასდება მხოლოდ ჩათვლა-არჩათვლას პრინციპით (ცოდნის ფაქტობრივი დადასტურების ბაზაზე), ყოველი გაკვეთილის ბოლოს ბუნებრივია, ყოველი თქვენ არ გჭირდებათ მათი განმსაზღვრელი შეფასებით შეფასება. მაგრამ კარგი იქნება თუკი განმავითარებელ შეფასებას მოახდენთ, სადაც თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და უნარებზე იქნებით აქცენტირებული.

გაკვეთილის თემა: უფლებადამცველი და წესრიგის უზრუნველყოფი სტრუქტურები სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე

სწავლის შედეგები და კრიტერიუმები	გაკვეთილის პირობები და მსვლელობა	
შედეგი: 1. დემოკრატიული ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მოქალაქის როლის გააზრება; შესრულების კრიტერიუმები: 1. ისტორიულ ან თანამედროვე საზოგადოებრივსა თუ პოლიტიკურ მოვლენას განიხილავს ადამიანთა ჩართულობის მოტივაციის ჭრილში;	მიზანი/ მიზნები	სტუდენტების ხელი შევუწყობ, გაიაზრონ: ✓ საზოგადოებრივი ჯგუფების ჩართულობის მნიშვნელობა სხვადასხვა ტიპის (ყოფით/რელიგიურ/ პოლიტიკურ/სოციალურ....) პროცესებში ისტორიულ წარსულსა თუ თანამედროვეობაში ; ✓ სახელმწიფოს შიგნით მყარი ინსტიტუციების არსებობის აუცილებლობა, რომელიც ზრუნავს სხვადასხვა ტიპის კონფლიქტის პრევენცია/მოგვარების გზებზე; ✓ რომ საერთაშორისო ინსტიტუციები, გლობალურ (ამა თუ იმ სახელმწიფოზე ზემდგომ) მექანიზმებს წარმოადგენენ კონფლიქტის პრევენცია/მოგვარება/გადაჭრის კუთხით; ✓ ადექვატური რეაგირების აუცილებლობა, რათა კონფლიქტის მოგვარების მცდელობამ ვითარების გამწვავება არ გამოიწვიოს.
2. არგუმენტირებულად ად მსჯელობს ინფორმაციის მოპოვების გზებსა და საჯაროობის უზრუნველყოფის	რესურსები	გრიფირებული სახელმძღვანელოები: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისა“ და „გამომცემლობა დიოგენეს“ მე-11 და მე-12 კლასის სახელმძღვანელოები ისტორიაში; „საქართველოს მაცნის“ მე-10 კლასის სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელო; დანართი: ამონარიდი წიგნიდან - ცხოვრება დემოკრატიულ

მნიშვნელობაზე; 5. მსჯელობს სოციალურ უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ საზოგადოების ურთიერთობის თავისებურებებსა და დახმარების შესაძლებლობებზე; შედეგი: 2. მრავალფეროვან საზოგადოებაში სამართლიანი ურთიერთობის გზების განსაზღვრა; შესრულების კრიტერიუმები: 1. სწორად განსაზღვრავს ადამიანის ღირსების საერთო მახასიათებლებს სხვადასხვა	გაკვეთილის მსვლელობა (აქტივობები)	საზოგადოებაში წიგნი 3, გვ 82-84, 91-92; ინტერნეტ-რესურსები: ქართული ვიკიპედია, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00--off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2e-4----4--0-11--11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&cl=CL4.2&d=HASH473087b171f34317cbf26b.5.4.1&gt=1) სტუდენტებს შესთავაზეთ აქტივობების „ბანკიდან“ მე-7 აქტივობის ცხრილი, რომელიც ოჯახური ძალადობის ფორმებია ჩამოთვლილი და სთხოვეთ, თითოეულმა გამოთქვას აზრი, სმენიათ თუ არა ამ ტიპის ძალადობის შესახებ. სავარაუდოდ, თითოეულმა მათგანის პასუხი იქნება დადებითი. მათ ასევე დაეკითხეთ, მათთვის ნაცნობი სოციაუმის შიგნით კიდევ რა ტიპის ძალადობის სახეებზე აქვთ ინფორმაცია. პასუხი შეიძლება იყოს სხვადასხვა, მაგ. ეთნიკური, რელიგიური, ინტერესთა კონფლიქტი(ყოფითი). შემდეგ დაეკითხეთ, როგორ უნდა გადაწყდეს ეს კონფლიქტი, თუკი მისი გადაჭრა არაძალადობრივი მეთოდებითა და მოლაპარაკებებით არ ხერხდება. სტუდენტებს, წესით, უკვე უნდა ჰქონდეთ გარკვეული ცოდნა სამართლებრივ კულტურასა და სამართლებრივ დოკუმენტებზე, მაგრამ ახლა ეს თემა გარკვეულად სხვა რაკურსით უნდა წარმოაჩინოთ. თუკი ამ მომენტამდე დამაკმაყოფილებელი პასუხები მიიღეთ, ჰკითხეთ სტუდენტებს თუკი წაესწრებიან მსგავს ძალადობის ფაქტებს, რომლებიც იქნა ჩამოთვლილი, რას მოიმოქმედებენ? რა იქნებოდა ადექვატური პასუხი მსგავსი ძალადობის
---	--	--

სოციუმში; 4. ანალიზის საფუძველზე მსჯელობს არაკანონიერი ქმედებების შედეგებზე; 6. დებატების წარმართვის წესების დაცვით მსჯელობს სხვადასხვა ტიპის დანაშაულის გამომწვევ მიზეზებზე და მათი შემცირების გზებზე; შედეგი: 6. მსოფლიო ისტორიულ პროცესში საკუთარი ქვეყნის ადგილისა და როლის დანახვა. შესრულების კრიტერიუმები: 2. დასაბუთებულად მსჯელობს კონკრეტული პოლიტიკური მოღვაწის მიერ	აღსაკვეთად? პასუხები, რომლებიც დაფიქსირდება, ყველა, უკლებლივ, განურჩევლად იმისა, ეთანხმებით თუ არა, დაიტანეთ დაფაზე. მათ პასუხებში, სავარაუდოდ, უნდა ფიგურირებდეს შემდეგი: რომ სასურველია შეატყობინონ პოლიციას 112-ის მეშვეობით, სხვადასხვა უფლებადამცველ ორგანიზაციებს (თემატურს), სახალხო დამცველს აქ ზოგიერთი სტუდენტი შეიძლება გამოვიდეს სიტყვით, რომ მაგ. ოჯახური ტიპის ძალადობაზე დარეკვა „ჩვენს ტრადიციას“ არ შეესაბამება. იგივე შეიძლება თქვას რელიგიურ ან ეთნიკური ნიშნით დაპირისპირების მოწმე თუკი გამხდარა. სასურველია, მსგავს პოზიციას არ შეხვდეთ სიხისტით და საყვადურებით. არამედ სთხოვოთ ახსნას თავისი დამოკიდებულება კონკრეტულ მტკიცებულებების/წყაროზე (მაგ. რაიმე წერილობითი დასაბუთების მოხმობა თუ შეუძლია) დაყრდნობით. მას, ბუნებრივია, გაუჭირდება ეს და ვერც შეძლებს. აქ სცადეთ ახსნათ კარგად ტერმინი სტერეოტიპი, სტერეოტიპული აზროვნება - როგორც საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელშემშლელი ფაქტორი (თამამად მოიშველიეთ ცხოვრებისეული მაგალითები). შემდეგ შესთავაზეთ „საქ.მაცნე“- სამოქალაქო განათლების წიგნიდან 31-ე პარაგრაფი და ჯგუფში იმსჯელოთ - რატომ დაარღვევდა სტერეოტიპული აზროვნება (გამოკვეთეთ რა სახის სტერეოტიპები შეიძლება გამოკვეთილიყო) გაკვეთილში მოყვანილ იდილიას? რა სახის ფასეულობების
--	---

არჩეული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური კურსის შედეგებზე; 3.არგუმენტირებულ ად მსჯელობს მსოფლიოში განვითარებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლანაზე, რომელმაც ნეგატიური ან პოზიტიური გავლენა მოახდინა საქართველოზე;	დაცვა საჭირო მშვიდობიანი თანაარსებობისთვის? *** შემდეგ დაარიგეთ სტუდენტებთან დანართის 90-91-გვ-ზე დატანილი დაჭრილი ბარათები (ამბავი 1, 3 და 4) ზედ დატანილი ისტორიებით და სთხოვეთ სტუდენტებს კარგად წაიკითხონ. გამართეთ დისკუსია: <i>რამდენად მისაღებია ძალის გამოყენება, თუკი კონფლიქტი არ გვარდება დაპირისპირებულ მხარეებს შორის მშვიდობიანად და კომპრომისით?</i> (ყველა მხარეს მიეცით საშუალება აზრის გამოხატვის, ოღონდ მოსთხოვეთ არგუმენტები. დისკუსია შეაჯამეთ. სტუდენტებს უნდა გაუჩნდეთ განცდა, რომ ქვეყნის შიგნით სახელმწიფო თუ არასამთავრობო ინსტიტუციები იმისთვის არსებობენ, რომლებიც მზად არიან ძალადობის გამოვლინებები საზოგადოებაში არ დარჩეს რეაგირების გარეშე, ოღონდ მათ ეს ინფორმაცია უნდა ჰქონდეთ). სტუდენტების ჩართულობით, ერთობლივად შეადგინეთ და ჩამოწერეთ დაფაზე სია იმ ინსტიტუციებისა, რომლებიც ვალდებულნი არიან საზოგადოებრივი ყველა ტიპის კონფლიქტის აღკვეთაში ჩაეხიზნენ, თუკი სხვა გზით ვერ ხერხდება კონფლიქტის დარეგულირება. ***** დაწერეთ დაფაზე ტერმინი კონვენცია და გონებრივი იერიშით გამოიკვლიეთ რა ასოციაციებს იწვევს ეს ტერმინი სტუდენტებში. ყველა პასუხი, მათ შორის არასწორიც დაფაზე ჩამოწერეთ. შემდეგ მიეცით მათ ამონარიდი დანართი-დან გვ. 84, სადაც ინფორმაციაა „ქენევის
--	--